



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბოღი ბუქდ-
უბი სიფყვას, ფყუილებით და ჭბრბით ბუბ-
თის გაცანა ყულა უჯანსიბბაგ უსაბაგლსია.



გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

საქართველოს მშენებელი

პარასკევი, 17 ივლისი. 2020 წ. №88 (9014)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

საჩუქარი ქართველ ხალხს

უკვეთილი - ივანიშვილის მინისზაღა სამოთხე



ნ. 4 83.

დენდროლოგიური პარკის ადმინისტრაცია დამთავალირებალთა საყურადღაბოდ ასხადაბს:

დამთავალირებალთა ნაკადი მესამე დღეა, არ წყდება. დილიდან პარკს რამდენიმე ათასი ვიზიტორი კვლავ ეწვია. პარკს დამთავალირებლები მთელი საქართველოდან სტუმრობენ. ვინაიდან პარკი 19:00 საათზე იკეტება, ადმინისტრაცია თხოვნით მიმართავს მსურველებს, დასათვალისწინებლად არაუგვიანეს 18:00 საათამდე მივიდნენ, რადგან ტერიტორია დიდა და დათვალისწინებულ ბევრი დრო სჭირდება. ადმინისტრაციაში ასევე აცხადებენ, რომ დენდროლოგიური პარკის დამ-


თავალირებლებს 19:00 საათის შემდეგ შეუძლიათ, ეწვიონ მიმდებარედ არსებულ მინიატიურების, მუსიკოსების ან ციციანათელების პარკს. დენდროლოგიური პარკი მიმდინარე კვირის ბოლომდე ყოველდღე იმუშავებს. გამომდინარე იქიდან, რომ დენდროლოგიური პარკი უნიკალურია ფლორითა და ფაუნით და განსაკუთრებული მოვლა სჭირდება, მომავალი კვირიდან მისი მონახულება ვიზიტორებს შეეძლება ყოველდღე, ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა.

სასაზღვრო ზოლთან მძიმე მდგომარეობა!

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ელჩი მარეკ შჩიგელი მიიღო. შეხვედრისას, რომელიც გუშინ ორბელიანების სასახლეში გაიმართა, საუბარი შეეხო საოკუპაციო ხაზზე არსებულ მძიმე ვითარებას. ინფორმაციას სალომე ზურაბიშვილის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს.
როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, აუცილებელია, გაიზარდოს სადამკვირვებლო მისიის მანდატი, რათა მისიამ უფრო ეფექტიანად შეძლოს ვითარების გაკონტროლება, რაც ადმინისტრაციულ ხაზზე მეტ სიმშვიდეს

მოიტანს და ადმინისტრაციული ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს შესაძლებლობას მისცემს უფრო ნორმალურ პირობებში იცხოვრონ.
„ჩვენ ყველანი მომსწრე ვართ, რა სისწირით იტაცებენ ადამიანებს, ვიცით რა მძიმეა ადმინისტრაციულ ხაზს იქით არსებული ჰუმანიტარული მდგომარეობა“, - აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.
საქართველოს პრეზიდენტმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ახალ ხელმძღვანელს კიდევ დაუდასტურა მისიის მიმართ პირადად მისი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა, რათა ყველა პირობა შეიქმნას მი-

სიის მანდატის განსახორციელებლად. შეხვედრისას საუბარი შეეხო ასევე, სამომავლო გეგმებს, შენევის მოლაპარაკებებსა და სხვა ფორმატებს, რომელიც უნდა გააქტიურდეს.
სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა პრეზიდენტს მიმართა საქმიანობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა და აღნიშნა, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ადგილზე მყოფი ერთადერთი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიაა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, წარმოადგინოს ობიექტური, ფაქტებზე დამყარებული შეფასება და ანგარიშები.



**საქართველოს
მეცნიერებათა
ეროვნული
აკადემიის
განცხადება**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
2020 წლის 15 ივლისის საერთო
კრებაზე არჩეულ იქნა

- აკადემიის ნამდვილ წევრებად (აკადემიკოსებად):
 - გომიანშვილი ომარ (სპეციალობა „ფილოსოფია, პოლიტოლოგია“)
 - კახაბაძე მინაილ (სპეციალობა „გეოლოგია“)
 - პაპუნიძე ვანო (სპეციალობა „ტყის განახლება და ეკოლოგია“)
- ფიცხელაური კონსტანტინე (სპეციალობა „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა“)
- აკადემიკოსი ჯონი ხეცურიანი - აკადემიის პრეზიდენტის წევრად.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ომარ მარგველაშვილი:

შეუღილი ამერიკა

პარტნიორს „პირში უძრახე“...



იოსებ არჩვაძე:

ფიქრები ერთ ტრანსფერზე, და არა მხოლოდ... 23

გაგლუშოვა და გაგლუშევი





...ნახვის „ჩისხვა“ პოლიტიკაში ღიად ბრუნდება თუ მოწინააღმდეგის დაზავებას სწილობს?!

მმართველი გუნდის წევრები მხოლოდ ზოგადი კომენტარებით შემოიფარგლებიან და ამბობენ, რომ ეს თავად ივანიშვილის გადასაწყვეტია.

„რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილი არის „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და მისი თავმჯდომარე. რა თქმა უნდა...“, — ასე პასუხობს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია კითხვას, იქნება თუ არა „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სი-აში ბიძინა ივანიშვილი.

გახარია პარტიის თავმჯდომარის მონაწილეობას 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში არ გამოირიცხავს და ამბობს, რომ გამონაკვეთის ფონზე, მმართველ გუნდს არ სცალია, გამართოს დისკუსია, ვინ იქნება სიის სათავეში. რაც შეეხება პირადად მის ყოფნას სი-აში, გახარია თქმით, ამას მისთვის მნიშვნელობა არა აქვს.

ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე for.ge-სთან ამბობს, რომ არაფორმალურ მმართველობაზე აქტიური საუბარი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც დაიწყო, ამიტომაც შესაძლოა, ივანიშვილი ამ ზენოლის ფონზე, უკან პოლიტიკაში ღიად დაბრუნდეს. მისი თქმით, ის რომ ივანიშვილი პარტიის თავმჯდომარეა და ყველაფრის მართვა შეუძლია, დემოკრატიულ სტანდარტებში არ ჯდება. ეს არის საბჭოური სტანდარტი, როდესაც პარტიული მდი-

ვანი პირველი პირი იყო და ყველაფრის უფლება ჰქონდა.

„საბჭოთა კავშირის დროსაც კი, ეს საკითხი დიდ გარჩევას საგანი გახდა. როგორც კი ივანიშვილის ფორმალურ მმართველობაზე ქვეყნის გარეთაც საუბარი დაიწყო, ბუნებრივია, ამან ის გამოიწვია, რომ ივანიშვილმა ამ მიმართულებით რაღაც ნაბიჯები გადადგას. ის იძულებული იქნება, რომ ძალაუფლების ფორმალიზაცია მოახდინოს. როგორც ჩანს, მასზე დასაველეთის მხრიდან სერიოზული ზეწოლაა.“

რაც შეეხება თანამდებობას, უფრო მგონია აღმასრულებელ ხელისუფლებაში წავა. არ გამოვირცხავ პარლამენტის თავმჯდომარე იყოს, მაგრამ ის იქნება ნომინალური ფიგურა და პარლამენტს რეალურად პირველი ვიცე-სპიკერი უხელმძღვანელებს“, — ამბობს ძაბირაძე.

მისივე თქმით, დაახლოებით მსგავსი რამ უკვე შევარდნაძის დროს გამოცდადებოდა. შევარდნაძე სახელმწიფოს მეთაური და პარლამენტის თავმჯდომარე ერთდროულად იყო.

ჩვენს კითხვაზე, რას შეცვლის ივანიშვილის სიის პირველ ნომრად ყოფნა, რადგანაც მას საზოგადოებაში ის ნდობა აღარ აქვს, რაც 2012 ან 2016 წელს ჰქონდა, ამზე ძაბირაძე გვპასუხობს: — ახლა ყავლგასული ლიდერების ეპოქაში შევედით, ამიტომაც ივანიშვილის მსგავ-

სად არც ოპოზიციაში ჩანს ის ლიდერი, რომლის სასარგებლოდაც საზოგადოებამ შესაძლოა არჩევანი გააკეთოს.

მისგან განსხვავებით კი ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე ფიქრობს, რომ ივანიშვილის სიის პირველ ნომრად შემოტანის თემა მხოლოდ პოლიტიკური ტაქტიკაა, რომელიც მოწინააღმდეგის დაბნევის ემსახურება. მისთვის გაუგებარია, უკან, აქტიურ პოლიტიკაში რატომ უნდა დაბრუნდეს და ამით რა შეიძლება ქვეყანაში შეცვალოს. საყვარელიძის აზრით, ივანიშვილი უკან მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდება, თუკი ქვეყანაში სიტუაცია უკიდურესად მძიმე იქნება, ამ შემთხვევაში კი ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ მსგავსი არაფერი არ ხდება.

„გახარია მხოლოდ არ უარყო, რომ შესაძლოა ივანიშვილი სიის პირველი ნომერი იყოს. მას ზუსტად არ უთქვამს, რომ რაიმე უკვე გადაწყვეტილია. ესაა პოლიტიკური მანიუვრაცია, რომელიც მტოქის დაბნევის ითვისებას ნიშნავს. პრემიერი თავისი გუნდის ინტერესებით მოქმედებს და ახლა მათ ინტერესებში ჯერ არ შედის, ოპოზიციას გააგებინონ, რას აპირებენ. ვხედავთ, რომ 2020 წლის საარჩევნო სიგზსაც კი არ ასაჯაროებენ. ეს ყველაფერი არის თამაშის ნაწილი, რომლითაც გარკვეულ დროს იგებენ...“

ლიკა ბერიკაშვილი

რა ჩანიჭებდა ბიძინა ივანიშვილს და აპირებს თუ არა ის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში სიის პირველ ნომრად ყოფნას? ხომ არ არის ეს პოლიტიკური მანევრი და მტოქის დაბნევის ტაქტიკა? თუ ივანიშვილი დასავლეთის ზენოლის ფონზე იძულებულია, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ღიად ჩაერთოს? მასინ ჩნდება კითხვა რა თანამდებობა შეიძლება მან დაიკავოს — გახდეს ისევ პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, რიგითი დეპუტატი თუ 2012 წლის მსგავსად, პოლიტიკიდან ისევ მალევე წავიდეს. დაბოლოს, რამდენად სჭირდება ახლა ქვეყანას და „ქართულ ოცნებას“ მისი პოლიტიკაში ღიად დაბრუნება?

შიდა კვლევებით „ქართული ოცნების“ რეიტინგი 55 პროცენტზე გასილაპით მტინა



— ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა.

„მე შემძლია დაგიდასტუროთ, რომ ჩვენი შიდა კვლევით, უფრო მაღალი შედეგი აქვს „ქართულ ოცნებას“, ვიდრე ეს იყო ბოლოს, Forbის კვლევაში. მასინ გახსოვთ, ჩვენი რეიტინგი იყო 55 პროცენტი. ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია გითხრათ, რომ 55 პროცენტზე გაცილებით მეტი აქვს დღეს „ქართულ ოცნებას“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

შენულება რუსოვოპიული კამპანია - აღდება აპიაიმოსლა

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ანდრეი რუდენკოს განცხადებით, საქართველოსთან ავიაიმოსელის აღდგენისთვის აუცილებელი პირობები ჯერ არ არის შესრულებული.

მინისტრის მოადგილემ აღნიშნულ პირობებს შორის „რუსოვოპიური კამპანიის შეწყვეტა და რუსი ტურისტებისთვის რაიმე სახის საფრთხის აღმოფხვრა“ დაასახელა.

„ყველაზე კარგად იცის, თუ ვასული წლის ზაფხულს რატომ დაწნესდა აკრძალვა საქართველოსთან ავიაიმოსვლაზე. ეს იძულებითი, გარუებითი ზომაა. მისი დაუქმების პირობები კარგად ცნობილია: საქართველოში სიტუაციის სტაბილიზირება, რუსოვოპიური კამპანიის შეწყვეტა და რუსი ტურისტებისთვის რაიმე სახის საფრთხის აღმოფხვრა. ეს პირობები ჯერ შესრულებული არ არის“, — დასძინა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.



მერია კულტურის სფეროს დაფინანსებას გაზრდის

თბილისის მერიამ კულტურის სფეროში არსებული კრიზისის დასაძლევად ამ მიმართულების დაფინანსების გაზრდა გადაწყვიტა. ამის შესახებ დედაქალაქის მერმა მთავრობის სხდომის დანყებამდე განაცხადა. მისი თქმით, ასეთი გადაწყვეტილება სფეროს წარმომადგენლებთან მჭიდრო კომუნიკაციის შედეგად მიიღეს.

„ჩვენ კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან არაერთი შეხვედრა გაგვართათ და მოვისმინეთ მათი პრობლემები, მათი წუხილი. შესაბამისად, ჩვენ ყველაფერს

გავაკეთებთ იმისთვის, რომ ამ სფეროს წარმომადგენლებს ჰქონდეთ მხარდაჭერა, ჰქონდეთ თანადგომა ჩვენი მხრიდან და ერთ-ერთი მიმართულება არის კულტურის სფერო, სადაც ბიუჯეტი გაიზრდება, იმისთვის, რომ ჩვენ კულტურის სფეროს სხვადასხვა წარმომადგენელს ხელი შევუწყოთ, დავეხმაროთ, რომ მათაც ეს რთული პერიოდი, პანდემია და COVID-19 მაქვს მხედველობაში, გამოიარონ დიდი ზენოლის გარეშე“, — განმარტა მერმა.

მისი თქმით, ამ მიმართულებით რამდენიმე პროექტი განხორციელდება. კერძოდ, გამარტივდა პროექტების დაფინანსების პროცედურები და დამატებითი კულტურის სფეროს რამდენიმე მიმართულება. ამასთანავე, გაფართოვდა შემოქმედებითი ინდუსტრიების ჩამონათვალის და დარგის მძღვრადი განვითარებისთვის შემძლებელი გახდება, საკონკურსო პროექტის ფარგლებში, ხელოვნების საქმიანობისთვის საჭირო მოწყობილობების დაფინანსება.



საქალაქთაო პაპტი - ბაგა-ბაღების თანამშრომლობისთვის

თბილისის საკრებულოს სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი დოხტორიშვილის ინიციატივით, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრს და თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

დედაქალაქის საკრებულოს ინფორმაციით, მემორანდუმს, რომლის ფარგლებშიც, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები სამედიცინო მომსახურების საშეღავათო პაკეტი ისარგებლებენ, ხელი მოაწერეს თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა კახაბერ გვანცელაძემ, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის დირექტორის მოადგილემ ხატია ფიჩხაიამ და თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის კომერციულმა მენეჯერმა სალომე ყვავილაშვილმა. როგორც გიორგი დოხტორიშვილმა განმარტა, გაფორმებული მემორანდუმის შედეგად, საშეღავათო პაკეტებით სარგებლობა ბაგა-ბაღების 10500-მდე თანამშრომელს და მათ ოჯახის წევრებს შეეძლებათ.

„მინდა, ყველა მივულოცო ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. როდესაც ქვეყანაში მნიშვნელოვანი გამოწვევებია, ჩვენი ბაგა-ბაღების თანამშრომლებს მხარდაჭერა სჭირდებათ.“

თავდასვის სამინისტრო 5000-მდე ბინას ფაქტობრივ ფლოპებას დაჟანონებას

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული ხუთი ათასამდე ბინა ფაქტობრივ მფლობელებს

საკუთრებაში გადაეცემათ.

თავდაცვის მინისტრის ინიციატივას მთავრობამ მხარი უკვე დაუჭირა. ბინები დაუკანონდებათ, როგორც მოქმედ, ისე ყოფილ სამხედრო პირებს, ასევე სოციალურად დაუცველ ოჯახებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს. როგორც თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განმარტა, ეს პრობლემა წლების განმავლობაში მოუგვარებელი იყო.

„დღეს განვიხილეთ ჩვენი სამინისტროს ინიციატივა და მივიღეთ შესაბამისი გადაწყვეტილება, მთელი ქვეყნის მასშტაბით, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული 5000-მდე ბინა ფაქტობრივ მფლობელებს დაუკანონდებათ. ეს იყო წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემა, რომელიც წარმოშობდა პრობლემას ჩვენი მოქალაქეებისთვის. მათ პრაქტიკულად უმძიმეს სოციალურ პირობებში უწევდათ ცხოვრება აღნიშნულ ბინებში. ეს ვითარება პრობლემას უქმნიდა როგორც სამინისტროს, ასევე ამ ფართობში მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს“, — განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა.



თბილისის ონკოლოგიური საავადმყოფო რეაბილიტაციის განყოფილებაში

შესწავლის პერიოდში თბილისის ონკოლოგიური საავადმყოფოს რეაბილიტაცია დაიწყო, ამ პროცესში კლინიკის მუშაობა შეჩერდება, რეაბილიტაცია კი, მიმდინარე წლის ბოლოს ან გაზაფხულისთვის დასრულდება, — ამის შესახებ საქართველოს „პირველ არსს“ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ გიორგი ნონკოლაურმა განუცხადა.

მისი თქმით, რეაბილიტაციის პროცესში ექიმები მიღებენ წინა წლებში დაგროვილ, 10-თვიან დავალიანებას და

ორი თვის კომპენსაციას. თანხები მათ უახლოესი სამიოთხი თვის განმავლობაში დაერიცხებათ. რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ კი, მუშაობას იგივე კლინიკაში განაგრძობენ. გიორგი ნონკოლაურის ინფორმაციით, კლინიკას ფინანსური პრობლემები ჰქონდა, ამასთან, არის ამორტიზებული. მას სტაციონარული პაციენტები აღარ ჰყავდა, მიმარტებული პაციენტები კი, სხვა კლინიკებში გადაინილდნენ.



საუკუნეების განმავლობაში დუელი იყო ერთ-ერთი დიდი „გართობა“!

წინათ ადამიანებს ასე უბრალოდ არ კლავენ, მკვლელობა სამშობლოს ღალატის, წმინდანების შეურაცხყოფის, დედის გინების, ქართველობის უარყოფის გამო ხდებოდა, დღეს კი რის გამო იმეტებენ ადამიანები ერთმანეთს და რა ფაზაში გადადის ქართველი ერი? პოეტი **თემურ ჩალაბაშვილი** ადრინდელ და ახლანდელ პერიოდს აღარებს ერთმანეთს და მიიჩნევს, რომ არასდროს არ ყოფილა წინა თაობებში ასეთი აგრესია. ყოველთვის იყო სიკვდილი, ადამიანების მოკვდინება, მაგრამ ასეთი მასობრივი ხასიათი და ასე არაფრის გამო მოკვდინება არ ხდებოდა.



„განა რა უნდა მომხდარიყო ისეთი ადამიანთა შორის, რომ დღევანდელი დღის მსგავსად ასე სასიკვდილოდ გაემეტებინათ ეს ანგელოზი ბავშვი? კაცთა კვლა ყოველთვის იყო, ეს ეპოქალური სენი არ არის, მაგრამ ასე ფართო მასშტაბით და ასე არაფრის გამო, ასეთი პირადული განწყობით არასდროს არ ხდებოდა. მკვლელობა სამშობლოს ღალატის, დედის გინების, წმინდანების შეგინების, ტაძრის შეურაცხყოფის, ქართველობის უარყოფის გამო ხდებოდა, მაგრამ ასე შემთხვევითობით და ასე უბრალოდ ჩიტს არ კლავენ და ადამიანს როგორ იმეტებენ?“ – აცხადებს თემურ ჩალაბაშვილი.

ამასთან, მიიჩნევს, რომ ასეთი სისასტიკე საერთო ცოფით აიხსნება. განა რით აიხსნება, რომ ქუჩაში გამაბრუნებლად დადიან მოტოციკლეტებით, ე.წ. ბაიკერები? საზღვარგარეთ ყველა ასე დადის, მაგრამ ასეთი გრუსუნით, საოცრად გაღიზიანებულები?.. პოეტის შეფასებით, ეს ადამიანური გაღიზიანებაა, რაც მოქმედებს სხვა ადამიანებზეც.

„ტრანსპორტში რომ ჩაჯდები, უკვე ნერვებმოშლილი მოდიხარ სახლში. კომპიუტერები განა საზღვარგარეთ არ აქვთ? მაგრამ საზღვარგარეთ ბავშვებს კომპიუტერთან დასახდომის განსაზღვრული საათები აქვთ, ისინი წიგნებსაც კითხულობენ, კინოსაც უყურებენ, მაგრამ ასე მასობრივად ჩართვა, გონების დაძაბვა და გამუდმებით კომპიუტერში ყურება, მე მგონი, დამლუბველია. ეს ერთი მიმართულებისკენ სწრაფვაა, რაც ადამიანებს ფიტავს და ანადგურებს, ეს საკუთარ თავთან დაშორებაა. საკუთარ თავს რომ კაცი დაშორდება, მერე მას რაღა უნდა მოსთხოვო?“ – მიიჩნევს თემურ ჩალაბაშვილი.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **მაცხალა ბონაშვილი** ექვობს, რომ კონკრეტულად კორონავირუსს და სახლში ჩაკეტვას გამოეწვია ასეთი დიდი აგრესია. უბრალოდ, ბევრი რამ გადაიტანა ჩვენი შვილების



თაობამ, მათ შორის, გაუცნობიერებლადაც. 20-25 წლის ახალგაზრდები დაბადებულნი არიან 2000-2003 წლებში, საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იყო მაშინ ქვეყანაში და ნურავინ ნუ ვიტყვით, რომ დედის განწყობა არ მოქმედებს მომავალ თაობაზე.

„დავუკვირდეთ, ჩვენი შვილების თაობაში ძალიან შეიმჩნევა დეპრესია, სევდა, ისეთი დაავადებები, რაც ჩემს თაობას არ ახსოვს. ეტყობა, ეს რამდენიმე ფაქტორმა გამოიწვია: ერთი, რომ ესენი მძიმე ეპოქის შემდეგ დაბადებული ბავშვები არიან, მეორე, ის, რომ ძალიან ბევრი ბავშვის დედა წასულია საზღვარგარეთ, ბავშვებს მონატრებული ჰყავთ დედა, ბებია, ოჯახური სიტბო. მესამე, უმთავრესი, რაც, მე მგონი, შეუსწავლელია, ეს არის ახალი ტექნოლოგია-კომპიუტერული სამყარო, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი შვილების თაობაზე და რაღაცები დაშალა ადამიანთა ურთიერთობაში. ძალიან ბევრი ბავშვი გადასულია თამაშზე და საშინელი მდგომარეობა აქვთ. რომც არ თამაშობდნენ ფულზე, მაინც მარადიულად კომპიუტერზე მიჯაჭვულობამ გამოიწვია სხვადასხვა ფსიქიკური მდგომარეობა, უფრო ნაკლებად არიან მიწაზე, ბუნდოვანი გახდა მათი გონება. ხშირად მესმის ჩემს გარშემო ყველა ოჯახში, რომ ბავშვებს აქვთ სერიოზული ან დეპრესია, ან ფსიქიკური პრობლემები, ეს არ არის შემთხვევითი, მე მგონი, ეს უფრო გლობალურია, ვიდრე კონკრეტული ჩვენი მდგომარეობა“, – აცხადებს მაცხალა ბონაშვილი.

ამასთან, განმარტავს, ჩვენდა სამწუხაროდ, რაც დაიბადა კაცობრიობა, ყოველთვის იყო აგრესიაც, სიკეთეც, ბოლოს და ბოლოს, იყო საუკუნეები, როცა დუელი იყო ერთ-ერთი დიდი გართობა. ე.ი. ადამიანში იყო მიდრეკილება უარყოფითისკენ. კაცობრიობის ისტორია ბრძოლების, დაუნდობლობის ისტორიაა. ამდენად, კონკრეტულად ეს არ არის ჩვენი ერის ნაკლი,

ტრაგედია ყოველთვის ხდებოდა სხვადასხვა პერიოდში და არა მარტო საქართველოში.

„ეს იმდენად დიდი ტრაგედიაა, მაშფოთებს კიდევ ამ ტრაგედიის შოუდ გადაქცევა“, – აცხადებს მაცხალა ბონაშვილი.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ალექსანდრე დაუშვილის** მოსაზრებით, მართალია, ზოგიერთები ამტკიცებენ, თითქოს ჩვენი ერი აგრესიული გახდა, მაგრამ ერი აგრესიული არ შეიძლება იყოს, მით უმეტეს, ქართველი ერი თვითონ არის აგრესიის მსხვერპლი. უბრალოდ, რთულ ეპოქაში ვცხოვრობთ, სოციალური კატაკლიზმები არსებობს, ოჯახებს ძალიან გაუჭირდათ, მშობლები ზოგი იქით არის გახიზნული, ზოგი აქეთ, ახალგაზრდების ნაწილს ყურადღება მოაკლდა და უამრავ ძალიან კარგ ახალგაზრდას შორის, რომლებიც ჩვენს გარშემო არიან, გვეხდებიან აგრესიული ახალგაზრდებიც.

„განა ყოფილა ეპოქა, აგრესიული არ ყოფილიყო ადამიანი? უნდა გავანალიზოთ, რატომ გახდა ბოლო ხანს ზოგიერთი ახალგაზრდა ასეთი სასტიკი, ამას ფსიქოლოგების, სოციოლოგების შეფასება სჭირდება. ისტორიული განვითარება ჩვენთვის გამოწვევაა, საზოგადოებამ უნდა უზახსოს ამ გამოწვევას. საზოგადოებამ რაღაც დაავალით ახალგაზრდებს, სიტბო, სიყვარული დავაკელით. ის მშობლები არიან ამზე პასუხისმგებელი, რომელთა შვილებიც ასე აგრესიული არიან, მათ რაღაც დააკლეს შვილებს. 90-იან წლებში სამოქალაქო ომი იყო, იმ დროს იყო ძალიანობის ესკალაცია. სამოქალაქო ომი რომელიმე ქვეყანაში, გინდაც ამერიკაში, ხავერდოვანი ყოფილა? ისტორიული პროცესები ერთმანეთის მსგავსია, ეს პროცესები თავიანთ კანონებს სთავაზობენ ადამიანებს, არ აქვს მნიშვნელობა, ორი საუკუნის წინ ხდებოდა, თუ ორი საუკუნის შემდეგ ცალკეული მოვლენა. დღევანდელი ახალგაზრდობის ნაწილის სისასტიკე კი ძალიან ბევრ რამესთანაა დაკავშირებული, როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან. ისტორიამ განმეორება იცის, მაგრამ, როგორც დიდი ადამიანები ამბობენ, ისტორია მეორედ ფარსის სახით, ამიტომ არ შეიძლება ამ ტრაგედიების 90-იან წლებთან შედარება. 90-იანი წლები განაპირობა სულ სხვა ფაქტორებმა, ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია დაინგრა და შენდებოდა ახალი, უნდა ჩამოყალიბებულიყო კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობები, ამას თავისი მგლური კანონები ჰქონდა. საქართველომ მოიხადა ის პრობლემები, დღეს კი სხვა სიტუაციაა, ახლა მიმდინარეობს აღმშენებლობა, მაგრამ ამ აღმშენებლობაში ჩვენ გვაქვს ნეგატივიც. ამერიკის ისტორიას რომ გადავხედოთ, ასეთ დემოკრატიულ ქვეყანაში ერთი თვის წინ როგორი აგრესია გამოვლინდა? მით უმეტეს, იქ სოციალური, ეკონომიკური, ინტელექტუალური ფონი უფრო მაღალია“, – აცხადებს ალექსანდრე დაუშვილი.

პარიამ ლოლაშვილი

ავთანდილ ბილანიშვილი, რომელიც ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 19 წლის ფეხბურთელის გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმის ერთ-ერთი მონაწილეა, „მთავარი არხის“ გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას შურნალისტური ეთიკის ქარტიაში უჩივის.

ბილანიშვილი, მეტსახელად „კანრო“ ნიკა გვარამიას შურნალისტური ეთიკის ქარტიის სამი მუხლის დარღვევას ედავება. მათ შორის, ზუსტი და წყაროზე დაფუძნებული ინფორმაციის გავრცელების დარღვევას.

შურნალისტური ეთიკის ქარტიაში, ამ ეტაპზე, ავთანდილ ბილანიშვილის განცხადება დასაშვებობის ეტაპს გადას: „განცხადება შემოსულია. თუმცა, მიმდინარეობს განხილვა და ამიტომ ჯერჯერობით, ვერ გეტყვით, ვცანით თუ არა ის დასაშვებად“, – ამბობს ქარტიის ხელმძღვანელი მარიამ გოგოსაშვილი.

ცნობისთვის, 19 ივნისს, მცხეთაში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, „მთავარმა არხმა“ ავთანდილ ბილანიშვილი შაქარაშვილის საქმესთან შემხებლობაში არაერთხელ ახსენა. არხი მას ქუჩის ავტორიტეტად მოიხსენიებდა და აღნიშნავს, რომ მას ხელს აფარებდნენ, რადგან ბიძინა ივანიშვილის შვილის ბერა ივანიშვილის მეგობარია.

არხმა, 7 ივლისს, ასევე გაავრცელა საქმეში არსებული ვიდეოჩანაწერის ფრაგმენტი, სადაც მცხეთიდან ჩამოსული გიორგი შაქარაშვილის მეგობარი,

„კანრო“ ნიკა გვარამიას შურნალისტური ეთიკის ქარტიაში უჩივის



გურამ ამირხანაშვილის დიდუბის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფნას ახსენა. „მთავარი არხის“ ვერსიით, ვიდეოკადრებში გამოჩენილი კაცი, სავარაუდოდ, ბილანიშვილია და ის 4 წუთის განმავლობაში ამირხანაშვილს ესაუბრება.

კადრებში, რომელიც 19 ივნისის სათვალთვალ კამერებით არის გადაღებული, ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც ლუკოილის ბენზინგასამართ სადგურთან გურამ ამირხანაშვილი ტრიოტა კამრიდან გადმოდის, თითქოს ქუჩაზე გადასვლას ცდილობს, შემდეგ კი უკან ბრუნდება.

რამდენიმე წუთში ადგილზე მიდის თეთრი მიკროავტობუსი, საიდანაც გადმოდის თეთრპერანგისანი ახალგაზრდა კაცი და მიდის იმ მიმართულებით, სადაც დგას ამირხანაშვილი. მთავარი არხი ვერაუდობს, რომ ის ავთანდილ ბილანიშვილი, იგივე „კანრო“, რომელიც ამირხანაშვილს ოთხი წუთის განმავლობაში ელაპარაკება და, სავარაუდოდ, „ამუშავებს“ ამირხანაშვილს ჩვენების მიცემის თაობაზე.

ავთანდილ ბილანიშვილი გამოძიებამ ივლისს გამოკითხა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, „მთავარი არხის“ მიერ შაქარაშვილის საქმეზე გავრცელებულ კადრებში ავთანდილ ბილანიშვილი არ ჩანს.

მოგვიანებით, შსს-მ განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, 19 ივნისის ღამეს, დიდუბის ტერიტორიაზე გადაღებულ ვიდეოკადრებში ხაშურში მცხოვრები ლაშა ლურსმანაშვილი ჩანს და არა ქუჩის „ავტორიტეტი“, ავთანდილ ბილანიშვილი. შსს „მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე“ აცხადებს, რომ ქუთაისი-თბილისის მიმართულებით მოძრავი თეთრი მიკროავტობუსიდან სწორედ ლურსმანაშვილი გადმოვიდა.

თავად ლაშა ლურსმანაშვილმა ოთხსაათიანი გამოკითხვის შემდეგ თქვა, რომ დიდუბეში „პირად საქმეზე“ გაჩერდა და გიორგი შაქარაშვილის საქმის მოწმე, გუკა ამირხანაშვილმა მას დარეკვა სთხოვა.

„რადიო თავისუფლება“

შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი გაიხსნა და დაითვალიერებულ მასპინძლებს



შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი გაიხსნა და დამთვალიერებელს მასპინძლობს. დენდროლოგიური პარკი, თავისი მასშტაბით, მცენარეთა უნიკალური და მრავალფეროვანი კოლექციით, ბიომრავალფეროვნების შემეცნებისთვის საუკეთესო გარემო პირობებითა და ორიგინალური განაშენიანებით, სრულიად გამორჩეულია არა მხოლოდ შავიზღვისპირეთში, არამედ მთელ რეგიონში. დღევანდელი პარკი წლების განმავლობაში ცაობად ქცეული ტერიტორია იყო. მის გარდასაკმენლად შესრულდა მასშტაბური, ექსტრაორდინარული სამუშაოები.



60 ჰექტარზე გაშენებული ბაღი, ადგილობრივი და მსოფლიო ეგზოტიკური ფლორის ათასობით სახეობას აერთიანებს. შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკში 18 ჰექტარზე გაშენდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან გადმორგული 29 უნიკალური სახეობის 200-ზე მეტი გიგანტური ხე. 42 ჰექტარზე კი, მსოფლიოს სუთივე კონტინენტიდან, წლების განმავლობაში შემოტანილი სხვადასხვა ეგზოტიკური სახეობის ათასობით ხე-მცენარეა წარმოდგენილი.

მცენარეთა უნიკალურ კოლექციასთან ერთად, პარკის ტერიტორიაზე მსოფლიოს ყველა კონტინენტის 58 სახეობის ფრინველი ბინადრობს, რომელთა უმეტესობა წითელ ნუსხაშია შეტანილი. დენდროლოგიური პარკის ტერიტორიაზე ასწლოვან მცენარეებთან ერთად გაშენებულია ბამბუკების კორომი. დამთვალიერებლისთვის დაუფინყარი სანახაობაა ეგზოტიკური ფრინველებით დასახლებული ტბა.

შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი ბიკინა ივანიშვილის მიერ რეგიონისთვის განსორციელებული კიდევ ერთი საქველმოქმედო პროექტია. ციციანათელის პარკი, მინიატიურების პარკი, მუსიკოსების პარკი, ზღაპრის პარკი და სხვა უკვე დენდროლოგიური პარკი – ეს ყველაფერი ერთად მთელ ქვეყანას, განსაკუთრებით კი ამ რეგიონს, უფრო მტკიცედ მიიზიდვავს ხელს.

გამომდინარე იქიდან, რომ დენდროლოგიური პარკი უნიკალურია აქ წარმოდგენილი ფლორითა და ფაუნით და განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებს, მისი მონახულება ვიზიტორებს შეეძლებათ ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა.

დენდროლოგიური პარკის გახსნა განსაკუთრებული ღონისძიებებით არ აღნიშნულა. ამის მიუხედავად პარკს რამდენიმე ათასი დამთვალიერებელი უკვე ესტუმრა. მსურველებს პარკის მონახულება უფასოდ შეუძლიათ.



უსილავში ვირუსი თუ მსოფლიოს უსერიოზულეს პრობლემას გაუჩნდა, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა – თუნდაც 2020 წლის იანვარში. ჩინეთიდან მომავალი ხმა კი აღწევდა ჩვენს ყურამდე, მაგრამ სუსტად... ყოველივე ამას ისიც ემატებოდა, რომ ჩინეთი შორსაა და იქ აფეთქებული ეპიდემია, პანდემიაში, ანუ მსოფლიო პრობლემაში თუ გადაიზრდებოდა, არავის ეგონა. არხეინად ვიყავით ყველა, მათ შორის აშშ, ევროკავშირის წევრი ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები, მაგრამ მოხდა დაუფერებელი, ძნელად ამოსასწავლი კორონავირუსმა დააჩოქა მსოფლიოს პირველი ქვეყანა, ბირთვული იარაღის დიდი რაოდენობის მფლობელი, მსოფლიოს საფინანსო-ეკონომიკური სისტემის საჭეთმკურთხელი აშშ.

ამერიკა მისთვის ჩვეული ცხოვრების ძველ ბურ რიტმს დაუბრუნდება. წინასწარმეტყველება ძნელია, მაგრამ ის, რაც აშშ-ში ხდება, დიდხანს გაგრძელდება და მოსალოდნელია მძიმე შედეგით დასრულდეს. ერთი რამ ამ მძიმე შედეგიდან ცნობილია, აშშ, როგორც მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფო ვეღარ იქნება.

მაგალითი დემოკრატიული და ადამიანის უფლებების დამცველი ქვეყანაა. ამ დროს ამერიკის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სწორედ ანტიდემოკრატიულობას და რასიზმს აბრალებს ყოველივე ამას. საქართველოში აშშ-ის ელჩი ქალბატონი დეგანნიც კი განითვლებოდა ჩვენებურების დახასიათების შემდეგ, ჰეგემონიზმის ბაციონი რომ არ ჰქონდეს ტვინიშ გამაჯდარი.

სხვათა შორის, დემოკრატიულობის გამოხატულება ისიც, როდესაც ერთი ქვეყანა მეორის საშინაო საქმეებში არ ერევა, არ ბლაღავს მეორე ქვეყნის სუვერენიტეტს. რა დემოკრატიაზეა ლაპარაკი, როდესაც აშშ-ს ელჩი დეგანნი, ყოველგვარი მორიდების გარეშე, აშშ-ის ტერიტორიაზე (აშშ-ს საელჩო აშშ-ს ტერიტორია) იბარებს ხელისუფლებას და ოპოზიციას და სახელმწიფო დეპარტამენტში შეთხზულ შეთანხმებებზე ხელს აწერინებს, თანაც ჭკუას არიგებს?!

ამ დოკუმენტზე ხელის მოწერას სუვერენული ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ჰქვია. ანუ დეგანმა „შეუტია“ საქართველოს კონსტიტუციას და ხელმომწერებსაც, უმნიშვნელო პოლიტიკოსებს კი დანაშაული ჩაადენინა. ვაშა ახალ, დამოუკიდებელი, სუვერენული საქართველო! ასეთი სტრატეგიული პარტნიორი მამაკაცს ფერად „კოლგოტკებს“ და „ლიფებს“ ჩააცმევს, კურტუზოს თამაშით ჩაატარებს რუსთაველის გამზირზე: კაცს კაცზე გაათხოვებს, ქალს – ქალზე, ტრანსსექსუალებს ნახალისებს.

ასე რომ, ყველაფერი წინ გვაქვს. ნგრევის საშინელი პროცესი, რაც ამერიკაში მიმდინარეობს, სწრაფად არ დასრულდება, მაგრამ ის საფუძველზე ჩაუყრის სხვა ამერიკის ჩამოყალიბებას და იოლად არ დაყრის ფარხმალს.

ახლა ის ვითარებაა, როდესაც ჩრდილოეთი ყოფნა სჯობს, მაგრამ ესმით ეს ჩვენს უმნიშვნელო პოლიტიკოსებს?

მერამდენე დღეა, ნივილ-კვილია ქართულ ტელევიზიებში – ამერიკა დახმარებას გვიმცირებსო. ოპოზიცია ადანაშაულებს ხელისუფლებას, თქვენი არადემოკრატიულობის ბრალად. ხელისუფლებას, როგორც ყოველთვის, თავის მართლების პოზაშია. არადა, რა ფულზეა ლაპარაკი, დემოკრატიული განვითარებისთვის რომ უნდა დაიხარჯოს? კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას რომ უნდა მოხმარდეს?!

კორუფცია ხომ ამერიკელთა მოგონილ-დაკანონებულია? განა ლობიზმი ოფიციალური კორუფცია არ არის? დემოკრატია ამერიკულად ნიშნავს რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლას. ჩვენი ოპოზიცია-ხელისუფლება თავს რომ იკლავენ ფული შემოგაკლდებო, ვინმეს ხომ არ ჰგონია, ამ თანხიდან ერთი ცენტრი ხალხს სმარდებოდეს.

ამერიკულ დოკუმენტში ვერსად იხილავთ სიტყვა „ხალხს“. ეს უკანასკნელი მსოფლიო არჩევნების დღეს ასხენდებო, იქითაც და აქეთაც. ამერიკას, ხელისუფლებას ოპოზიციის ბედი აღარ ედებს, ხალხისა – არა. ხალხი მასაა. მას არაფერი ეკითხება. აი, რაც შეეხება ხალხის მწყემს პარტიებს, ისეთები უნდა იყვნენ, ამერიკული დავალება რომ უყოყმანოდ შეასრულონ. დახვლება კი მარტივია – რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან პრობლემის შექმნა, პროვოკაციების მოწყობა, რუსეთის ლანძღვა-გინება და საერთაშორისო არენაზე სულ იმის ძახილი, რომ ოკუპანტი რუსეთი ახალ აგრესიას გეგმავს საქართველოს წინააღმდეგ და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს ეკონომიკაში რუსული კაპიტალის წილი ყველა ქვეყნისას (ერთად აღებული) აჭარბებს, (2019 წელს რუსეთიდან საქართველოში ხალხისთვის გადმოირიცხა 430 მილიონი დოლარი.)

ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებამ და ოპოზიციამ ხალხზე იფიქრონ, არჩევნებზე, ანუ საკუთარ ბედინებებზე ფიქრობს. ვისაც უყვე აქვს ის ბედინება – შენარჩუნება უნდა, ვისაც არა აქვს – მოპოვებას ცდილობს. დაბეჩავებული ხალხი კი მხოლოდ ოქტომბერში, არჩევნების წინ გაახსენდება!

ომარ მარგველაშვილი
ტ. 599 15 83 32

უაფლილო ამერიკა



დებების მეტს ვერაფერს აკეთებს; როდესაც აშშ-ის დედაქალაქის მერი შავი ქალბატონი მოურიდებლად იტყვის, ტრამპის ბრძანებულება ფეხებზე მკიდიაო; როდესაც ტრამპის პოლიციის დასაცავად განკარგულებას გამოსცემს, ხოლო კონგრესის წარმომადგენელთა პალატა თავის დანერვილ კანონპროექტს პრეზიდენტისას უპირისპირებს; როდესაც თითქმის არც ერთი გუბერნატორი პრეზიდენტის მითითებას არ იზიარებს და არ ასრულებს, ვერაფრით დაამტკიცებ, რომ აშშ-ის პოლიტიკური სისტემა მდგრადია.

ყოველდღე ცხელ-ცხელი ამბები მოდის აშშ-დან, რომელთა შორის ხშირად ისეთს გაიგებთ, ღიმილის კი არა, ხარხარის გუნებაზე რომ განაწყობს ადამიანს. განა სასაცილო არ არის სიტყვა „შავის“ ინგლისურად „ბლექის“ დიდი ასოთი (ბ) დაწერა, ხოლო „უაითის“ („თეთრის“) – პატარა ასოთი?

განა სასაცილო არ არის ჭადრაკის თამაშის არა თეთრი პაიკით, არამედ შავით დაწყება? გასაოცარი არ არის ჯორჯ ვაშინგტონის ძეგლების წაბლინვა და დამსხვრევა – მონათმფლობელი იყოო.

დიახ! ამერიკა ფერადკანინების შრომით აშენდა, რომ არა ისინი, ვერ იქნებოდა ეს ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერი. წარმოუდგენელია ექსპლუატაციამ, ზანგათა დამცირებამ, შეურაცხყოფამ, რასიზმმა ააშენა ამერიკა და ისეთ ქვეყნად აქცია – ჩვენ რომ შევხაროდით. სამწუხაროდ, ბევრი, ცხადია, უცოდინრობის გამო დღესაც შევხარის. ისინი თვლიან, რომ ის, რაც ამერიკაში ხდება დროებითი მოვლენა და სწრაფად ჩაცხრება. პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ ყველაფერი დალაგდება,

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, ამერიკის სხვა მოკავშირე ქვეყნების აშკარად სეკტიკური დამოკიდებულება იძლევა ნეგატიური შეფასების შეგრძნებას. გერმანიის კანცლერი მერკელი, რომელსაც ტრამპმა სულელი უწოდა, აცხადებს, რომ თვით ამერიკას არ აქვს სურვილი, იყოს მსოფლიოს ლიდერი, ამიტომ ყველამ საკუთარ თავს უნდა მივხედოთ.

იაპონიის პრემიერ-მინისტრი აბე ნინაომეცხია ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების საკუთარ ტერიტორიაზე განთავსებისას.

ნატოში კი ისეთი ვითარებაა შექმნილი, ეჭვს იწვევს მისი შემდგომი არსებობა. უამრავი ნეგატიური მომენტი გვიკარნახებს, რომ ამერიკის ჰეგემონობას შეერყა რეპუტაცია, რაც, სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკური წრეებისთვის გამოუცნობია. არადა, რა დიდი გამოცნობა უნდა იმას, რომ უხილავი „კოვიდ 19“-ით და გამოვლილებული ფერადკანინების უსაქციელობით დაჩოქებული ამერიკა მისაბაძი და სანატრელი ქვეყანა აღარ არის?!

ქართული პოლიტიკა – ხელისუფლება-ოპოზიცია, ხელისუფლების კადრების სამჭედლო არასამთავრობო სექტორი, მედია, ამერიკის უმძიმეს მდგომარეობას, მის გასაჭირს ვერ „ხედავს“ და ისე ალიქვამს მას, როგორც ძველად – იქ რომ გადიოდნენ სწავლებას და წვრთნას.

ქართული პოლიტიკა კი ამერიკულზე უფრო ამერიკულია. იქ არ ამოსდით მზე და მივარე საკუთარ ქვეყანაზე, აქ კი ამოსდით ამერიკაზე! ქართველი პოლიტიკოსების, არასამთავრობოების და მედიის აზრით, ამერიკაში ცუდი არაფერი ხდება, პირიქით, თვლიან, რომ ამერიკა დღესაც სა-

საქართველოში მცხოვრებნი, და არა მარტო საქართველოში, ბავშვობიდანვე ვოცნებობდით აშშ-ის საამაჟო ცხოვრებაზე. დემოკრატიულობა, ეკონომიკურ-სოციალური უპირატესობა დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით, თუმცა მოგვიანებით, ამ ქვეყნის ახლო გაცნობის შემდეგ, პირველ შთაბეჭდილებას ბზარები გაუჩნდა. მაგრამ იმას, რაც უხილავმა ვირუსმა თავს დაატყვა ამერიკას, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა.

3-4 თვიანმა კორონავირუსულმა შეტევამ მსოფლიოს დაანახა, რომ ჯერ კიდევ წლის დასაწყისში, რკინა-ბეტონის ფეხებზე მყარად მდგარი ქვეყანა, ქათმის ფეხებზე მდგარა, ხოლო მისი პოლიტიკური სისტემა სუსტი და იოლად ჩამოსაშლელი ყოფილა. მათი სახელგანთქმული ჯანმრთელობის დაცვის სფერო მასობრივ შეტევას ვერ უძლებს და იმასლა ახერხებს, თან გაჭირვებით, რომ გვამები ავტომანქანარეფერეფრატორებში განათავსოს.

კორონავირუსის შეტევა გრძელდება. ბოლო მონაცემებით ერთ დღეში 70000 ადამიანი დაავადდა. ამერიკა პირველია კორონავირუსით გარდაცვლილთა რაოდენობით – 138000, დაავადებულთა რაოდენობით 3,5 მილიონს აჭარბებს. კორონავირუსული შეტევის ვითომ მოგერიების შემდეგ გახსნილი კვების ობიექტებები ისევ იხურება. ეკონომიკურმა პაუზამ 47 მილიონზე მეტი ამერიკელი უშუშევრად დატოვა.

ახლახან ევროპამ და აზიამ უარი განაცხადეს ამერიკული თხევადი ბუნებრივი აირის შეძენაზე. შედეგად აირის ექსპორტი 63 პროცენტით შემცირდა.

კარანტინით გაბეზრებული ამერიკა ქუჩაში გამოვიდა და დაიწყო „ფერადი რევოლუცია“, ანუ იმით, რასაც ამერიკა სხვა ქვეყნებში აკეთებდა, თვით გახდა საკუთარი გამოცდების მთავარი პოლიტიკოსი. ავთავალს არ ენახვება ის, რაც ერთ დროს ძლიერ, მაგრამ ამჟამად ხსუსულასავით დაშლილ ამერიკაში ხდება. ცეცხლი ეკიდება მაღაზიებს, პოლიციის შენობებს, პოლიციის ავტომანქანებს, კერძო საკუთრებას – კაპიტალიზმის ფუნდამენტს; წლის დასაწყისიდან პოლიციის მიერ 600-მდე ადამიანი მოკლული, 15 ათასი ფერადკანინია დაპატიმრებული. იმსხვრევა აშშ-ს დამპყრობელი პრეზიდენტების ძეგლები, ნადგურდება ყველაფერი, რაზეც დგას ამერიკა.

თეთრკანიანები, რომლებიც დღიდან აშშ-ს შექმნისა, ზანგათა არსებობას არაფრად მიიჩნევდნენ, ახლა ფეხებს უკოცნიან მათ (პირდაპირი მნიშვნელობით). თვითგვემის შეგრძნება – მაზოხიზმში გადასული, ისეთ გაუსაძლის ვითარებას ქმნის, უნებლიედ ბადებს კითხვას, ნუთუ ეს არის ამერიკა? რა სუსტი და უმწეო ყოფილა „მონსტრი“?!

როდესაც ხისტი პოლიტიკოსად ცნობილი ქვეყნის პრეზიდენტი ლიტონი განცხა-

შოკისმოგვრელი ინფორმაცია

ჩინელი მეცნიერები დასავლეთში გაიქსნენ?

უსხანის ლაბორატორიის მეცნიერები დასავლეთს ჩაბარდნენ და კორონავირუსის წარმოშობის შესახებ სპეცსამსახურებს სკანდალური ინფორმაცია მიანოდეს, რომლის საფუძველზეც დასავლეთი პეკინის წინააღმდეგ სერიოზულ ბრალდებას ამზადებს, – ამის შესახებ აშშ-ს პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში სტივ ბენონმა განაცხადა.

„ისინი მედიას კომენტარს ვერ არ აძლევენ, თუმცა მეცნიერებმა, რომლებიც დასავლეთში გაიქსნენ, კორონავირუსის წარმოშობასთან ჩინეთის კომუნისტური პარტიის კავშირის შესახებ მტკიცებულებები წარმოადგინეს. ვფიქრობ, ხალხი შოკში იქნება,“ – აღნიშნა ბენონმა.

ჯერ კიდევ მარტში, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფრანგი მეცნიერი, ლიუკ მონტანიე აცხადებდა, რომ ვირუსი ჩინურ ლაბორატორიაში იყო შექმნილი. კორონა-



ვირუსს „ჩინურ ვირუსს“ უწოდებს თეთრი სახლის ლიდერი და ჩინეთის ხელისუფლებას ეპიდემიაზე დაგვიანებული რეაგირების გამო აკრიტიკებს, თუმცა ვირუსის ხელოვნურად შექმნაში ტრამპს პეკინი, ჯერჯერობით, არ დაუდანაშაულებია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია 2020 წლის 11 მარტს გამოაცხადა. მანამდე კი, 30 იანვარს ჯანმომ კორონავირუსი გლობალურ საფრთხედ გამოაცხადა. ჩინეთში პანდემიის აფეთქება 2019 წლის დეკემბერში დაიწყო. ის გამოწვეულია კორონავირუსის აქამდე უცნობი შტამით.

21 იანვარს ჩინეთმა დაადასტურა, რომ კორონავირუსი გადამდებია. მომხდარის გამო ქალაქში კარანტინი გამოცხადდა.

წყარო: IMEDINEWS.GE



სტალინის ქველი გორში

ადამიანებს სიამოვნება მიანიჭოს, მის შემქმნელს კი - უსიამოვნებაო... - წერდა მე...

ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკის, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, აგრეთვე კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა...



ქ. ლესელიძე, საბჭოთა არმიის გენერალი. მოქ. იაკობ ნიკოლაძე

პერიალიზმს („დამორჩილი კავკასია, ერმოლოვი მოდის“), მაგრამ პუშკინი ასევე არის ამ სიტყვების ავტორი:

Товарищ, верь: взойдет она, Звезда пленительного счастья, Россия вспрянет ото сна, И на обломках самовластья напишет наши имена!

ანუ თავისუფლების პოეტი და მისი ძეგლიც უნდა იყო დაცული იმიტომ, რომ გამოხატავს საერთო ადამიანურ ღირებულებას, რაც ადამიანებისთვის ძვირფასია, მაგრამ თუ ჩვენ ტირანის ძეგლზე ვლაპარაკობთ, მაშინ, ცხადია, დავუჭერდი მხარს მათ გადასახლებას მუზეუმში, განადგურებას - არა. ჩვენ გვინდა კარგი, მაგრამ ცუდიც ცხოვრების ნაწილია და მასაც რაღაც ტიპის გარსი სჭირდება, ანუ სადღაც უნდა იყოს ჩვენს მესხიერებაში, - ამბობენ ექსპერტები.

მესამე ტალღის მოლოდინში ასევე შეგვიძლია გავისხენოთ ძეგლები, რომლებსაც ხელოვნებათმცოდნე გოგიტი ხომ ტარია ბიუტეტურის უნოდებს. „რადიო თავისუფლების“ არქივში შემორჩენილია 2016 წლის ჩანაწერი, რომელშიც ხელოვნებათმცოდნე ამბობს:

„თავისუფლების მოედანზე დადგ...

მოპარული, მოკლადე და პატრონიანი ქველბი

გორბობა ადამიანის საქმიელი და არა... ქველისა!

ცხადია, ძეგლებს მხოლოდ შინაარსისა და შეცვლილი ღირებულებების გამო არ ერჩიან, ძეგლის მტერი შეიძლება იყოს როგორც მისი ესთეტიკური მხარე, ასევე ბანალური ვანდალიზმი ან ქურდობა, რასაც შეეწირა კიდეც თბილისისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი სკულპტურა - ფელიქს ხოდოროვიჩის ბრინჯაოს „ნიკოლაი გოგოლი“ (1904 წ.), რომელიც 1990 წელს მოიპარეს. ასევე გაქრა (1993 წ.) ბრინჯაოში ჩამოსხმული მირზა-ფათალი ახუნდოვის ბიუსტი, რომელიც კოტე აფხაზის ქუჩის რეკონსტრუქციას ემსხვერპლა.

უცნაური თავგადასავალი აქვს მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე სკვერს, სადაც 1981-1990 წლებში პირველი ჩეკისტის ფელიქს ძერჟინსკის ძეგლი იდგა. ძერჟინსკის ძეგლი 90-იანი წლების ტალღაში მოჰყვა, ოთხი წლის თავზე კი ამ სკვერში ბრინჯაოს ბიუსტი დაუდგეს ცნობილ ფრანგ ქართველოლოგს მარი ფელისიტე ბროსეს, რომელიც მშვიდად იდგა 2004 წლამდე, ვიდრე არ მოიპარეს. გავიდა თერთმეტი წელი და ბროსეს კვარცხლბეკზე ცნობილი რეჟისორის გიგა ლორთქიფანიძის ბიუსტი აღმართეს, ფრანგი მეცნიერის ძეგლი კი (ჩამოსხმული დაკარგული ბიუსტის ყალიბში), 2016 წელს დედანის ბაღში დადგეს.

ყოფილა შემთხვევა, როცა ერთ ძეგლს მეორის გაძევებაც კი უცდია. ცნობილი მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი იხსენებდა, როგორ თხოვდა ერთი პარტიული მუშაკი „ქართულის დედისთვის“ ადგილის შეცვლას, რადგან ხმლიანი ქალი თურმე თავზე ედგა ლენინის ძეგლს და დიდ უხერხულობას ქმნიდა, თუმცა, ქართულის დედამ, მოქანდაკის თქმით, წარმატებით დაიცვა თავი და ფეხი არ მოიცვალა სოლოლაკის ხეივნიდან.

თბილისში ძეგლების ამოძრავების ყველაზე გახმაურებული ისტორია უკავშირდება დავით აღმაშენებლის ქანდაკებას. მერაბ ბერძენიშვილის „დავით აღმაშენებელი“, რომელიც 1997 წლიდან იდგა სასტუმრო „ივერიის“ წინ, 2005 წელს, რესპუბლიკის მოედნის „რეკონსტრუქციის“ გამო, სააკაშვილის დავალებით აღმაშენებლის ხეივანში გადაიტანეს.

ცნობილია, რომ არაქონებრივი უფლებები მუდმივად რჩება ავტორს და, რომ ამ უფლებების მიხედვით, ავტორს უფლება აქვს დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია.

ბევრი დღემდე მიიჩნევს, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანით ეს უფლება შეილახა, თუმცა, მრავალწლიანი ბრძოლის მიუხედავად, ვერც თვითონ ძეგლმა და ვერც მისმა თაყვანისმცემლებმა ვერ აღიდგინეს ეს უფლებები და ვერც ბრინჯაოს დავითი დააბრუნეს თბილისის ცენტრში.

„ქანდაკება იდგმება იმისათვის, რომ დასასრული დასაწყისი იქ. 87



სკულპტურული კომპოზიციის კარლამენცის წინ: „მუშა და კომუნისტური ქალი“.

ბა აქვს ქანდაკების ავტორიანობაზე აზრი გამოთქვას და ხელი შეუშალოს მის დადგმას - არასოდეს“.

ნათქვამის საწინააღმდეგოდ, მოქანდაკემ თავისი თვალთ ნახა, 2009 წლის დეკემბერში, როგორ დაანგრეს (ააფეთქეს) ქუთაისში „დიდების მემორიალი“, რომელიც 1982 წელს დაიდგა საბჭოთა კავშირის ფაშისტურ გამარჯვების აღსანიშნავად.

„უშუალოდ კონსტრუქციის პირდაპირ, ცხენზე ამხედრებული შიშველი ქაბუკი დგას. ეს ახალგაზრდა საქართველოს მომავალია, რომელიც წინ მიიჭრება და თავის სამშობლოს თავისუფალ, მებრძოლ ბუნებას განასახიერებს. თუ კარგად დააკვირდებით, ვერც ერთ საბჭოთა სიმბოლოს ვერ ნახავთ. ძეგლი ქართული ორნამენტებითაა გაფორმებული. შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორმა ამით არა საბჭოთა კავშირის, არამედ საქართველოს დიდება ასახა“, - წერდა მაშინდელი პრესა.

2000-იანები და დამსობის მეორე ტალღა

უკვე დანაშაული იყო ძეგლთა დამსობის ახალი ტალღა, რომელიც რუსეთთან 2008 წლის ომამდე გააძლიერა: ქუთაისში „დიდების მემორიალის“ აფეთქებამდე, გორის ცენტრალური მოედნიდან აიღეს იოსებ სტალინის მონუმენტი (მოქანდაკე შოთა მიქაბაძე, არქიტ. ზ. და ა. ქურდიანები), რომელიც 1952 წელს, ბელადის სიცოცხლეშივე აღიმართა: ბრინჯაოს ექვსმეტრიანი ქანდაკება იდგა გრანიტის 9-მეტრიან კვარცხლბეკზე, რომელიც ამავე დროს ტრიბუნის ფუნქციასაც ასრულებდა...

სტალინის ძეგლის აღებებიდან მალევე, 2011 წლის 31 მაისს კი მიღებული იქნა „თავისუფლების ქარტია“, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო, „კომუნისტური


ახსენა შორეულ 90-იან წლებში იმელის შენობიდან იაკობ ნიკოლაძის ბარელიეფის მონგრევის ფაქტი.

„არ მგონია, რომ ბარელიეფის მოხსნას იმელის შენობის ფასადიდან რაიმე რაციონალური ახსნა ან გამართლება ჰქონდა. ის იყო შენობის ნაწილი და შენობა რჩებოდა. შენობა უნდა შენარჩუნებულიყო ორიგინალური სახით, როგორც მუზეუმი საბჭოთა იდეოლოგიისა. ამგვარად გამოყენება, ამგვარად გაცოცხლება იქნებოდა პრაგმატულადაც სწორი ისეთ ქალაქში, რომლის ისტორია ადგილობრივებსაც აინტერესებს და - უცხოელსაც ამ ისტორიის პარადოქსულობის გამო“, - ამბობს სოფო კილასონია.

ქველბი მესამე ტალღის მოლოდინში

ამჟამად ძეგლთა ჩამოგდებას მეორე ტალღაც თითქმის გადავლილია, მოაღწევს თუ არა საქართველომდე მესამე ტალღა, რომელმაც ანტირასისტული მოძრაობის ფონზე აშშ, ინგლისი, ბელგია, ჩეხეთი და მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყანა მოიცვა და, რომელიც ნალექვით ემუქრება რასიზმისა და კოლონიალიზმის სიმბოლოებს, ძნელი სათქმელია. საქართველოში კვლავინდებურად ბევრი ძეგლი დგას, მათ შორის დგას ქართველი მეფეებისა, არაერთგვაროვანი პოლიტიკური რეპუტაციის რუსი პოეტებისა, ქართული წარმომავლობის რუსი და საბჭოთა გენერლებისა და, როგორც ირკვევა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საეჭვო დამსახურებების მქონე ისტორიული პერსონაჟებისა...

მაგალითად ვინმე შეიძლება თქვას, რომ პუშკინის ძეგლი ნიშნავს რუსულ იმ-



დიდაზის მემორიალი ქუთაისში



მოსაპარად გამაზღაბული ბიუსტი. ბ. ნიბახაშვილის წიგნიდან „ზამთარი ბატალიონი“

მული მონუმენტი და მისი სტილის სხვა ძეგლები ბიუტეტურია, რომლებიც ავსოვნიან სივრცეებს. ბანივსო ძალაში ნავითი ერთხელ ვთქვი და ახლაც ბავი-მეორე, თბილისში დგას ცუდი, ძალიან ცუდი და კომპარული ქველბი“

რომელი ძეგლი ბიუტეტურია და რომელი - შედეგრი, ცხადია, ამასაც პროფესიონალები უნდა აფასებდნენ მრავალი კომპონენტით: როგორია გადამწყვეტის მეთოდი, სტილისტიკა, მასალასთან მუშაობის პრობლემების დაძლევა, როგორ ეწერება ლანდშაფტში, რამდენად სჭირდება გარემოს ეს სკულპტურა და რა ეფექტს იწვევს როგორც ვიზუალურად, ასევე მხატვრულად, თუმცა, ამავდროულად ხელოვნებათმცოდნეებმა უნდა გაიაზრონ სკულპტურის, ძეგლის ისტორიული როლიც... ავიდოთ პუშკინის ბიუსტი. რუსეთთან გარკვეულ ეპოქაში, გარკვეული კულტურული ურთიერთობა გვექმნება და რატომ უნდა გავაქროთ მისი კვანი? მთავარია, კვლევა და ადეკვატური შეფასება. მთავარია, ჩვენ ვიყოთ ჯანსაღი საზოგადოება და ძეგლი ვერ გახდება ბოროტება, ის შეიძლება იყოს ისტორიის, განვლილი გზის მტკიცებულება და არ შეიძლება იყოს ბოროტება, თუ ჩვენ არ დავტვირთავთ ბოროტი შინაარსით, - უთხრა ხელოვნებათმცოდნე სოფო კილასონიამ „რადიო თავისუფლებას“.

ჯივთარ რახვიაზვილი.



პლაკატები

პასპორტის ჯერ კიდევ დიდი ძვრები ელოდება ბოლომდე გათავისუფლებამდე, მაგრამ ის მხოლოდ ძირითად სოციალისტურ სახელმწიფოთა სტრატეგიის ძირეული ცვლილებით მიიღწევა.

იყავით რეალისტები! მოითხოვეთ შეუძლებელი.

თუ სუყოველი უსამართლობის უამს აღშფოთების ჟღერს ტელი გივლით, ჩემი ამხანაგი ყოფილხართ.

ჩვენი გზა ხანგრძლივად შეუცნობელია. ჩვენ ჩამოვყალიბებთ XXI საუკუნის ადამიანს – ჩვენსავე თავს. ჩვენ გამოვიწროებთ იმ ახალი ადამიანის შესაქმნელად ყოველდღიურ მოქმედებაში, რომელიც ადამიანიც ახალი ტექნიკის მფლობელი გახდება.

ჩვენი მშენებლობის მთავარი მასალა ახალგაზრდობაა, რომელზეც ვამყარებთ ჩვენს იმედებს და იმისთვის ვამზადებთ, რომ ჩვენი ხელიდან გადაიხაროს დროშა.

ცალკეული ადამიანის სიცოცხლე მილიონჯერ მეტი ღირს, ვიდრე დედამიწის ბურჯზე ფულით უფრო მდიდარი ადამიანის ავლადიდება.

სიჩუმე სხვა საშუალებებში დავის გაგრძელებაა.

სამხსნარ(ა) მეგობრების უყოლობა, ოღონდ კიდევ უფრო ბევრად დასანანია უმტროდ არსებობა.

პირადი მიზანი საზოგადოებრივი მიზნის ანარეკლი უნდა იყოს, და უნდა ეფუძნებოდეს პირად მიზანსვე წარმოების მოტილიზაციისთვის – მაშასადამე, უმცირესი წინააღმდეგობის ხაზს უნდა მისდევდეს, კაპიტალიზმის იდეოლოგიას ფრთებს უნდა ასხამდეს...

აღამიანებს მხოლოდ საკუთარი შეცდომების ფასად შეუძლიათ სწავლა, ეს კი უამრავ უმანკო სიცოცხლედ ღირს. ეგების ეს არც ერთი უმანკო სიცოცხლე არ არის, ვინაიდან არსებულ პირობებთან შეგუების უნარი თუ არა აქვთ, ადამიანები დიდ ცოდვას სჩადიან ბუნების წინააღმდეგ. სუყოველი, ვისაც შეგუება არ ძალუძს, – თქვენცა და მეც, მაგალითისთვის – დაიხოცებინა იმ ხელისუფლების წყევლა-კრულვაში, რომლის შექმნასაც მრავალი მსხვერპლის ფასად ხელს ამგველებდნენ.

საქართველო

სამართლიანობის გამწვავებული გრძობა თავს არ ანებებდა ლეგენდარულ კომანდანტეს სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ეს სწრაფვა ამოძრავებდა, მოსვენებას არ აძლევდა – მაშინაც კი, როცა გამგულაში (ჰამაკში) ქანაობდა, ერთი აზრი უტრიალებდა თავში – მხოლოდ წინ, მხოლოდ გამარჯვებისკენ!

ზომი თავდასავლებების მაძიებლად მიმიჩნევენ, აგრეთვე თითქოს ერთი იმათგანი ვარ, ვინც თავის ცხოვრებას რისკავს, რათა ამ ცხოვრების ბანალურობა დავაშტკიცო.

მე განმათავისუფლებელი არა ვარ, განმათავისუფლებლები არ არსებობენ, ადამიანები თვითონ ითავისუფლებენ თავს.

თუ წავიქეცი, არც ასე მნიშვნელოვანია მანამდე, სანამ ვინმე არ აიღებს ჩემს პისტოლეტს და სროლას არ განაგრძობს.

გაბრკალვა. დასაწყისი №83-84, 87

* * *
უნდა ვაღიარო, რომ არცროდის თავი უცხოელად არ მიგრძნია არც კუბაში, არც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, სადაც კი ვყოფილვარ; ჩემი ცხოვრება არც არანაირ თავდასადავალს არ ყოფილა მოკლებული, გვატემალაში თავს გვატემალელად ვგრძნობდი, მექსიკელად – მექსიკაში და პერუელად – პერუში. დღეს კუბაში თავს კუბელად ვგრძნობ და თავისთავად ცხადია, მუდამ არგენტინელად დავრჩები აქაც და სადაც არ უნდა ვიყავი, რა ვქნა, ასეთი ხასიათისა ვარ.

თავში იდეათა მთელი სამყარო მაქვს, რა იდეებზეც ეჭახებიან ერთმანეთს, გადაჯვარედინდებიან, ხანისად კი ყალიბდებიან.

თუ წავაგე, ეს სულაც იმას არ ნიშნავს, რომ იმ დროს არ შეიძლებოდა ჩემი გამარჯვება. ბევრი მაშინ დამარცხდა, ევერესტის მწვერვალზე აღწევას რომ ცდილობდა, მაგრამ ჯამში ევერესტი იძლია.

მე თავისებური ავანტიურისტი ვარ, იმათგანი, ვინც სი-



„სამშობლო
ან სიკვდილი!“
ანა იფიოდა
ერენსტო ჩე გუპარა
პართულად გადმოაქანა
გურამ ბოგიაშვილმა

ცოცხლეს საფრთხეში იგდებს, რათა თავისი სიმართლე დაამტკიცოს.

მე არგენტინაში დავიბადე, ვიზრდოდი კუბაში და გვატემალაში რევოლუციონერი გავეხდი.

თუ ისეთი გზა-სავალის პოვნას შეძლებ, რომ არცნა დაბრკოლებას არ გადაეყარო, ის გზა, როგორც ჩანს, არსადაც არ მიგიყვანს.

ოცნებებით სულ მუდამ ვიოცნებებ, და მანამ არ გაჩერდები, სანამ ტყვია არ გაშაჩერებს...

რომელსაღამე ტყეში, მზის ჩასვლის მერე, ვრძელ დამეგობი იწყებოდა ჩვენი უმოქმედობა, გვეგებს კანდიერს ვსახავდით. ვოცნებობდით მზდოლებზე, ოპერაციებზე და გამარჯვებებზე, რაც ჭეშმარიტად ბედნიერი საათები იყო. დანარჩენებთან ერთად ჩემს ცხოვრებაში პირველად ვნეტარებდი სიგანებით, მოჩვენა კი იმითვე ვისწავლე, რა-

თა მამებარი კოლოები გამეჭმია. იმ დროიდან გამიჭდა ძვალ-რბილში კუბური თამბაქოს სურნელი და თავბრუ მესხმოდა, არ ვიცი, მაგარი ჰავანისგან, არ ვიცი, ჩვენი კანდიერი გვეგებისგან, რომელთაგან ერთი მეორეზე საშინელი იყო.

უნდა შეგეძლოს, რომ ხან უხეშიც გახდე, ოღონდ სინამე უნდა შეინარჩუნო.

ჩაიოლუსიაზე სისოხლესა და სიკვდილზე

სიმყმა „რევოლუცია“ ცარიელი ბგერა არ ყოფილა ჩე გევარასთვის. აქ „ან იმარჯვებ, ან იღუპები“. და ლეგენდარული კომანდანტე მთელი თავისი ცხოვრებით ამტკიცებდა ამ აზრს.

რევოლუცია გაუსროლელად არ ხდება!

პარტიული კადრები შრომისმოყვარეობისა და თავგანწირვის მაგალითს უნდა უჩვენებდნენ ადამიანებს, ხალხს რევოლუციის ბოლო მიზნებამდე უნდა მიუძღვებოდნენ, რაც მრავალწლიან რთულ ბრძოლას მოითხოვს სინათლეებისა და კლასობრივი მტრის – იმპერიალიზმის წინააღმდეგ...

რევოლუციის შემდგომ რევოლუციონერები აღარ ასრულდნენ სამუშაოს. სამუშაოს ტექნოკრატიები და ბიუროკრატიები ახელსაქმებენ. ისინი კი კონტრრევოლუციონერები არიან.

* * *
ხშირად ვიგონებ ერთ ჯარისკაცს, რომელიც მოგვიანებით მაიორი გახდა და ამას წინათ ტრაგიკულად დაიღუპა. კრისტიანო ნარანხოდ მოიხსენიებდნენ. ორმოცი წლისა იყო, მეთაურად კი ჰყავდა 15 წლის ლეიტენანტი ჯოელი ივლესიასი. კრისტიანო ჯოელს „შენობით“ მიმართავდა, ჯოელი კი, თუმცადა მეთაური იყო, მაგრამ კრისტიანოს „თქვენობით“ ელაპარაკებოდა. ეს კრისტიანო ნარანხო არასოდეს არ ეუარებოდა ბრძანების შესრულებას, ვინაიდან ჩვენს ამბოხებულთა ჯარში მარტის მითითებისა თანახმად, ყურადღება არ ექვევოდა ასაკს, ჯარისკაცის წარსულს, იმის პოლიტიკურ თუ რელიგიურ მოღვაწეობას. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ჯარისკაცის იმ დროის საქმეები და რევოლუციის საქმისადმი ერთგულება.

* * *
პუბ სოციალისტური, ტროიკული, დაუმორჩილებელი და გულუბრყვილო ქვეყანაა. ისე გახდა სოციალისტური, რომ არც ერთი თავისი დამახასიათებელი თვისება არ დაუკარგავს, პირიქით, ამ თვისებებს თავისი ხალხის სიმწიფე მიამატა.

რევოლუციონერი-ავანგარდისტის ხვედრი ამალღებული და სევდიანია.

* * *
ჩვენი რევოლუცია დიდ პრობლემებს გადააწყდა: თავი უნდა დაეცვა უამრავი მტრისგან და იანკის იმპერიალიზმისგან. კიდევ ბევრი ბოროტების წინააღმდეგ მოგველის ბრძოლა, რათა უკეთესი მომავალი დავიმსახუროთ და ამასთანავე სრულად უნდა შევიგრძნოთ, რომ ამ ახალ საზოგადოებას, სადაც კლასები აღარ იქნებიან, მოვიპოვებთ მხოლოდ დიდი გარჯით, ოფლითა და თავგანწირვით.

(გაბრკალვა მოგვიწოდო ნოემრში)

ნიკოლას ბილუნი

ბალახისფერი ბრძელკუდა ხვლიკი

ანტილის ზღვაში, ანტილის ზღვაში
(კარიბის ზღვასაც რომ ეძახიან)
ტალღის მათრახით აჭრებლებულა,
გარს თეთრი ქაფი შემოუფლია
და გალურსულა თაკარა მზეში,
თავს დასტრიალებს ქარი აშარი,
გული კი არა, სიმღერა კვანძის
და ძველ რუკაზე ირწევს კუბა;
ბალახისფერი გრძელკუდა ხვლიკი
სველი ქვებივით აცეცებს თვალებს.

შაქრის ლერწამი მოუწნავს გვირგვინს,
განა ყვავილით, ეკლით მოუწნავს,
და ჯილით ივლის მონა ბედკრული,
არ დაახანჯვებს არავის ეკალს,
შორით დედოფალს მიამგვანებენ,

თვალს მოატყუებს მხველის გვირგვინი,
ნადველი ახრჩობს, მწარე ნადველი,
და ძველ რუკაზე ირწევს კუბა:
ბალახისფერი გრძელკუდა ხვლიკი
სველი ქვებივით აცეცებს თვალებს.

მაგრამ, იცოდე, ზღვის მეცისოფნე,
უკვე ელაგენ გრძელი შუბები
და ყველა გულში ცეცხლი ანთია,
გუგუნი გააქვთ აქოჩრილ ტალღებს,
ქარი ღმუილით აწყდება ნაპირს
და კიდევ უფრო აღფრევს ხანძარს,
და ძალა ერჩის უღონო ხვლიკსაც,
რომ ამოჰგლიჯოს რუკას ბრჭყალები:
ბალახისფერი გრძელკუდა ხვლიკი
სველი ქვებივით აცეცებს თვალებს.

ძარბაზი კალათბურთელი, საქართველოს ნაკრების კაპიტანი თორნიკე შენგელია ესპანეთის ჩემპიონატში გამარჯვებული „ბასკონიდან“ მოსკოვის ცსკა-ში გადადის და სამი წელი მისი მისურით იასპარეზებს.

ამ ინფორმაციას უდიდესი რეზონანსი მოჰყვა ქართულ საინფორმაციო სივრცეში და მცირე ხნით მედიასა და სოციალურ ქსელებში ახალგაზრდა ფეხბურთელის გიორგი შაქარაშვილის დაღუპვით გამოწვეული აჟიოტაჟიც კი გადაფარა. აღნიშნული საქციელი მას არ მოუწონა საქართველოს პრეზიდენტმა სა-

ლომე ზურაბიშვილმაც.

რატომ გახდა შენგელიას რუსულ გუნდში გადასვლა ასეთი რეზონანსული?

რა, სხვა შემთხვევები არ ყოფილა, ქართველები რომ რუსეთში დასაქმებულიყვნენ, იქ გამოეჩინათ თავი არა მარტო სპორტში, არამედ ხელოვნებაში, ესტრადაზე, საქმიანობის ნებისმიერ სფეროში?

საკითხის ამ კონტექსტში განხილვისას რამდენიმე მომენტი უნდა გავითვალისწინოთ.



გიორგი შაქარაშვილი

ფიქრები ერთ ტრანსფერზე, და არა მხოლოდ...

რუსეთში წარმატებით მოღვაწე ძალიან ბევრი ქართველი სახელი, დიდება და კეთილდღეობა თავიდანვე რუსეთს უკავშირდება, ასე ვთქვათ, „რუსულ ნიადაგზე“ აღმოცენებული. არავის მოუბრუნდება ენა, გაკიცხოს ძმები მელაძეები, გრიგორი ლეფსი (ლეფსვერიძე), თამარ გვერდნიძე, ნინო ანანიავილი, რატომ გამოდიოდნენ და გამოდიან რუსულ სცენაზე – სწორედ ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი რუსულმა სცენამ მოუტანა მათ აღიარება, რუსეთში გაკეთებულმა პიარმა უზრუნველყო მათი მრავალწლიანი პოპულარობა რუსეთსა და მის ფარგლებს გარეთ.

მაგრამ განსხვავებული, ლატენტურად პროტესტული დამოკიდებულება აქვს ქართულ საზოგადოებას სოსო პავლიაშვილის მიმართ, რომელმაც დიდწილად ასევე რუსული ესტრადით გაითქვა სახელი, იმ მომდერლისადმი, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პირველ ეტაპზე სიმღერით, ჰიტით „თენდება!“ იურმალაშვილი 1989 წელს პირველი ადგილი მოიპოვა და იმდროინდელ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მეტი იმპულსი და რომანტიულობა შესძინა. ამის შემდეგ პავლიაშვილს რუსულ ესტრადაზე დამკვიდრებას ბევრი ადრინდელი თაყვანისმცემელი რენეგატობად უთვლის. სწორედ ამ გარემოების გამო ქართველი მსახურელებისა და მსმენელების დიდი ნაწილი რუსული ესტრადის „უკანასკნელი რომანტიკოსის“ ვალერი მელაძის მიმართ უფრო ტოლერანტული და კეთილგანწყობილია, ვიდრე „რენეგატი“ პავლიაშვილისადმი.

ტეგორიის ეთიკური ნორმებია, რომელთა უგულვებელყოფა ისეთივე ნეგატიურ შეფასებას იმსახურებენ, როგორც ფიცის გატეხა, ინცესტი და ლალატი.

როდესაც შენი ქვეყნის „დაუძინებელი მებრძოლის“ შეიარაღებული ძალების სახელის მატარებელი ცენტრალური სპორტული გუნდის მაისურს იცვამ და ამ გუნდის ძლიერებისა და გამარჯვებისათვის (გა)ირჯები, შენ ამით ნებსით თუ უნებლიეთ შენი სახელმწიფოს მონააღმდეგის გაძლიერებას – მისი მორალური ავტორიტეტის, პოპულარიზაციის, ეროვნული ენერჯის ზრდას უწყობ ხელს – შენ უკვე აღარ ხარ უბრალო „ლეგიონერი“. თანაც, როდესაც სპორტული კლუბი იმ არმიის სახელთანაა გაიგივებული, რომელმაც დაიპყრო საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი, 300 ათასზე მეტი ადამიანი დევნილად აქცია საკუთარ სამშობლოში, ათასობით ქართველი მოკლა და დაასახინრა... სადაა აქ ეროვნული თანაგრძობის, სოლიდარობის, ემპათიის გრძობა?!



თორნიკე შენგელია



ვალერი და კონსტანტინე მელაძეები

ბენ ბალტიისპირელი და ამერიკელი სპორტსმენებიც, ბევრს არაფერს ნიშნავს – რუსეთს, რაც ბალტიის სამივე ქვეყანამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა, მათთვის ერთი კვადრატული სანტიმეტრი ტერიტორიაც კი არ წარუტაცია. – მით უფრო, რუსეთს აშშ-ისთვის არ წაურთმევია არც ალიასკა, არც ჰავაი თუ ფლორიდა... ამიტომ, ამ ქვეყნების სპორტსმენებს მორალურად გაცილებით მეტი უფლება აქვთ ითამაშონ რუსულ გუნდებში, ვიდრე საქართველოსა და ესპანეთში ბრენდად ქცეულ თორნიკე შენგელიას, თავისი კაპიტალიზებული სახელით ესპანურ რუსულ სამხედრო ძალებთან ასოცირებული სპორტული გუნდის ინტერესებს.

ვიდეო ერთი ასპექტი: **კი მაგრამ, საქართველო თუკი ვაჭრობს რუსეთთან – რა, საქონლის გატანა, ექსპორტ-იმპორტი შეიძლება და ქართველი სახელოვანი სპორტსმენის გადასვლა რუსულ გუნდში – არა?! სადაა ლოგიკა?**

ლოგიკა იმაშია, რომ ვაჭრობა არის ნებაყოფლობითი და ყიდვა-გაყიდვის აქ-

ტი დგება, როცა ორივე მხარე თანხმდება ამაზე, როცა ადგილი აქვს **ეკვივალენტურ** გაცვლას და ორივე მხარე **კმაყოფილია**. მაგრამ როდესაც სახელოვანი სპორტსმენი გადადის „დაუძინებელი მებრძოლის“ არმიის ცენტრალურ სპორტულ კლუბში, ამით არა მარტო მიაქვს ახალ გუნდში თავისი სპორტული უნარჩვევები, პროფესიონალიზმი, არამედ ბონუსის სახით თავისი პირადი **გუდვილიც**, რითაც, ვიმეორებ, მორალურ უპირატესობას უქმნის გუნდს, რომლის უკანაც ის სახელმწიფო დგას, რომელიც სისტემურად ვერ ჰგუობს დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას.

რაც შეეხება ვაჭრობას, რუსეთთან საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს – უფრო მეტი რუსული საქონელი შემოდის რუსეთიდან, ვიდრე გადის საქართველოდან რუსეთში და 1995 წლიდან დღემდე რუსეთთან უარყოფითმა სალდომ, 2020 წლის ფასებით, უკვე შეადგინა **7716 მლნ. აშშ დოლარი**. ანუ რუსეთის ეკონომიკურ ძლიერებას, მის სავალუტო რეზერვებს, მოსახლეობის დასაქმებასა და შემოსავლების ზრდას საქართველოსთან წარმოებული ვაჭრობაც უწყობს ხელს და ამიტომაც არის რუსეთისთვის ეს პროცესი სასარგებლო და სასურველი.

იგივეს თქმა შეიძლება საქართველოში რუსი ტურისტების მიღებაზეც. პრინციპი – **ფული-საქონელი**, დაფუძნებული **ეკვივალენტურ** გაცვლაზე, აქაც სრულად მოქმედებს და ორივე მხარის ინტერესების თანხვედრას, ბალანსს ეფუძნება.

აქ საერთოდ არ ვეხებით იმ სარგებელს, რასაც რუსეთი ლეზულობს საქართველოს წინა და „იმისწინა“ ხელისუფლებების მიერ მისთვის გადაცემული თუ სიმბოლურ ფასად მიყიდული ჩვენი ქვეყნის მსხვილი (მათ შორის, ენერგეტიკული) ობიექტებიდან.

სხვათა შორის, ჩვენ რუსეთიდან ელექტროენერჯის გაცელებით ძვირად ვყიდულობთ, ვიდრე ვყიდით (ცალკეული წლების მიხედვით, არანაკლებ 1.5-

2-ჯერ) და ამაზე ყოველწლიურად 20 მლნ. აშშ დოლარზე მეტს ვზარალობთ. ამას დაუმატოთ ისიც, რომ აფხაზეთის მხარეს უფასოდ მიენოდება დენი, რაც საბითუმო ფასებით დაახლოებით ამდენივეა (ანუ რუსული სამხედრო მანქანის მიერ აფხაზეთის დაპყრობისა და იქიდან ქართველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გამოძევების შემდეგ აფხაზეთის მხარისათვის ფაქტობრივად კონტრიბუციის სახით გადახდილი თანხის მოცულობა 1993 წლის შემდეგ უკვე 500 მლნ. აშშ დოლარს აღემატება).

რაც შეეხება რუსეთში ათეულათასობით გადახვეწილ ჩვენს თანამემამულეს ლუკმა პურის საშოვნელად, აქ „დიდაქტიკაში“ შორს არ წავაღ, მხოლოდ ორ არგუმენტს მოვიტან:


ჯერ ერთი, მინდა ერთი პარალელი გავავლო: გაბრიელი და პეპია (ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“) განა მადლიერნი უნდა ყოფილიყვნენ, როდესაც მათმა გამაუბედურებელმა დათიკომ ისინი, ეტაპით ციმბირის გზაზე შემდგარნი, მყინვართან გაანთავისუფლა?! – განა დიდი მარჩიელობა უნდა იმას, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის იმ ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომელიც ახლა რუსეთშია და იქ საქმიანობს, ამ ქვეყნისკენ არც კი გაიხედავდა, რუსული სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკურ „ძალისხმევას“ ისინი საკუთარი კარ-მიდამოდან, ოდაბადედან რომ არ აეყარა და დევნილებად არ ექცია?!... ამიტომ მათგან რუსეთისადმი გამოხატული მადლიერება შეიძლება ვთქვათ, რომ ისეთივეა, როგორც დათიკოსადმი მის მიერ დახსნილი პეპიასი და გაბრიელის.

მეორეც, რუსეთში საკუთარი შრომით შექმნილი ყოველი 5-6 დოლარიდან შრომითი მიგრანტები (ისინი, ვინც საქართველოსთან ეკონომიკურ კავშირებს ჯერაც ინარჩუნებს...) სამშობლოში საშუალოდ მხოლოდ ერთ დოლარს აგზავნიან. – ასე რომ, დავთვალთ, გინდა წმინდა ფისკალური კუთხით, გინდა – მაკროეკონომიკურად, ვინ უფრო ხეირობს: რუსეთი თუ საქართველო ამ ქვეყანაში ქართველი შრომითი მიგრანტების ყოფნით და ვერდიქტი მერე გამოვიტანოთ...

ფაქტი კი ისაა, რომ მრავალ მიზეზთა გამო დღეს ქვეყანას მრავალი ასეული ათასი „ჩინიანი და უჩინო“, ცნობილი, „სახელოვანი“ და „უსახელო“ „მამლუქი“ ჰყავს – სხვისი დროშის ქვეშ „მებრძოლი მამლუქი“, სხვა ქვეყნის ეკონომიკური თუ სპორტული ძლიერების ზრდაზე თავისი ცოდნის, ენერჯის, შემართების თავდაუზოგავად მხარჯველი „მამლუქი“ და თორნიკე შენგელია მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია...

გლობალიზაციის პერიოდში კი „მამლუქების“ რაოდენობით საქართველოს კი არა, მსოფლიოში ვის გააკვირვებ?! ისე, „მამლუქების“ რაოდენობის ამჟამინდელ ზრდას საქართველო როგორმე გადაიტანს. მთავარია, საკუთარ ქვეყანაში, სამშობლოში მანქურთების რაოდენობამ კრიტიკულად სახიფათო ზღვარს არ გადააჭარბოს...

იოსებ არჩვაძე, 2020 წლის 11 ივლისი



სოსო პავლიაშვილი

გარღვევა



ჩვენი ღრუს მოვიდა

ფრანგული გამოცემა Le Figaro იტყობინება, რომ შემოდგომაზე გასამართავ პრესტიჟულ სარაგბო ტურნირში საქართველოც მიიღებს მონაწილეობას.

ლი მდგომარეობის გამო, რაც შორეულ და სარისკო ფრენებს უკავშირდება, იაპონიის ნაცვლად ტურნირზე „ბორჯღალოსნები“ ითამაშებენ.



ფორუმი

ყატარის ცის ქვეშ

მსოფლიოს 2020 წლის ჩემპიონატი, რომელიც კორონავირუსის პანდემიის გამო გადაიდო, 2022 წელს ყატარში ჩატარდება.

ვანი მოვლენა 2022 წლის 21 ნოემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება.



ფაქტობრივად ეტაპი 2 დეკემბრამდე გაგრძელდება. 1/8 ფინალი - 3-5 დეკემბერი. 1/4 ფინალი - 9-10 დეკემბერი. 1/2 ფინალი - 13-14 დეკემბერი.

წყალპურთი

„იმედა“ წვრთნა თბილისის ზღვაზე განაახლა

გლდან-ნაბალაძევის კომპლექსური სასპორტო ცენტრის წყალპურთის კლუბი „იმედი“ (მწვრთნელები - ღამით სამთასი და მამუკა ნიზაშვილი) შვიდი წელიწადია, რაც ჩამოყალიბდა და აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პირველობებში.

შეჯიბრება მარტში შეწყდა, გვითხრა დავით ხავეთაძემ. - ცხადია, მთავრობის გადაწყვეტილებას დავემორჩილეთ, მაგრამ მოზარდებს შინაიზოლაციაში ფიზიკური ვარჯიშები არ შეუწყვეტიათ.



ჭადრაკი

ეროვნულ ჩემპიონატს სასახლე უმასპინძლებს

საპარტიზელს მოჭადრაკე ქალთა 77-ე ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის შეჯიბრება დეზულებით 20-30 მარტს უნდა გამართულიყო, მაგრამ პანდემიის გამო ორჯერ გადაიდო, 20 ივლისიდან კი ასპარეზობის მონაწილენი ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში პირისპირ შეხვედებიან ერთმანეთს და კლასიკურ ჭადრაკში მედალოსნებს გამოავლენენ.



ჩემპიონატის საპრიზო ფონდია 30.600 ლარი. გამარჯვებულს 10.000 ლარი გადაეცემა, ხოლო მეორე-მეათე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, 7.000-5.000-3.000-2.000-1.000-800-700-600 და 500 ლარით დაჯილდოვდებიან.

ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დაფინანსდებიან, თუ წლეულს მსგავსი შეჯიბრება გაიმართება.



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150. ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№97/ს
16/07/2020

97-21-4-202007161642



2020-2024 წლებისათვის ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყონივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17, მე-18 და მე-19 მუხლების, „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყონივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის №21 დადგენი-

ლების, „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყონივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემისთვის აუქციონის საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის №1147 განკარგულების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 04 თებერვლის N1080/01 და 2020 წლის 2 მარტის №2321/01 წერილების საფუძველზე,

პ ბ რ ა ნ ე ბ ა :

- 1. დამტკიცდეს აუქციონის ჩატარებისათვის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი №1, №2, №3, №4-ის შესაბამისად.
- 2. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყონივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1, №2, №3, №4-ის შესაბამისად.
- 3. ელექტრონული აუქციონი ჩატარდეს ინტერნეტგვერდის - www.eauction.ge-ს მეშვეობით.
- 4. ბიჯის სიდიდე განისაზღვროს საწყისი ფასის 10 %-ის ოდენობით.
- 5. დაევალოს ლიცენზირების დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ინფორმაციის გამოქვეყნება ცენტრალურ პრესაში აუქციონის გამართვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.
- 6. აუქციონის ჩატარება ეთხოვოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - მომსახურების სააგენტოს.
- 7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში შესაბამის ანგარიშზე წაიღოს ან უნაღდო ანგარიშსწორებით შეიტანოს ის ფულადი თანხა, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო/შემოთავაზებულ ფასს.
- 8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემოთაღნიშნულ ორგანოში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6.), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ანდრო ასლანიშვილი



სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დანართი №1



ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყონივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყონივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

Table with 2 columns: Object ID (ობიექტი N1) and Description. It lists various objects related to the auction, including lot numbers, contact information, and specific conditions for the license holders.

Table with 3 columns: Object ID, Description, and Additional Information. It provides detailed specifications for each lot, including quantities, prices, and specific requirements for the license holders.



დანართი №2



ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

Table with 2 columns: Object N2 details and Lot details. Includes information about the National Environmental Protection Agency and the specific lots being auctioned.

Table with 3 columns: Lot number, Lot description, and Auction terms/conditions. Details the bidding process, payment terms, and delivery conditions for the lots.

დანართი №3



ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

Table with 2 columns: Object N3 details and Lot details. Includes information about the National Environmental Protection Agency and the specific lots being auctioned.

Table with 3 columns: Lot number, Lot description, and Auction terms/conditions. Details the bidding process, payment terms, and delivery conditions for the lots.

	<p>გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.</p> <p>დ) ბოლქვების მოპოვების და ექსპორტის შემდეგ, ყოველი წლის არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა, ლიცენზიის მფლობელის მიერ სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნას ანგარიში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას განხორციელებული ქმედებების შესახებ, მათ შორის ქვეყნის შიგნით განხორციელებული ქმედებების (ინფორმაცია მოპოვების მეთოდის, ბოლქვების შენახვის, დახარისხების, გაშრობის, ტრანსპორტირების, დასაქმებული პირების ოდენობისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის, მოპოვების ტერიტორიების, მოპოვების თარიღის/პერიოდის შესახებ, ასევე, სასაქონლო და არასასაქონლო ზომის ბოლქვების ფაქტობრივად მოპოვებული ოდენობების შესახებ) თაობაზე. ანგარიშს უნდა დაერთოს შესაბამისი ფოტომასალა (მათ შორის მოპოვების ამსახველი).</p> <p>ე) ლიცენზიანტი, არაუგვიანეს 2021 წლის პირველი აპრილისა უნდა ფლობდეს ბოლქვების რეალიზაციისათვის მოსამზადებლად საჭირო ინფრასტრუქტურას: ბოლქვების სათვლელ და კალიბრაციის დანადგარებს, ბოლქვების შესანახად ვარგის სათავსოს, რომელშიც შესაძლებელი იქნება საჭირო ტემპერატურისა და ტენიანობის შენარჩუნება; ვარასასაქონლო ზომის ბოლქვების მოპოვების შემთხვევაში, ბოლქვების კერძო საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებზე ჩათესვის საკითხი შეთანხმებული უნდა იქნას სამინისტროსთან.</p> <p>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სამინისტროსა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი</p>
--	---

		ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს წლიური ანგარიში.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თეთრყვავილას მოპოვება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გარდა დაცული ტერიტორიებისა და 2008-2009, 2014 და 2018-2019 განხორციელებული კვლევების შედეგად დადგენილი აკრძალული ადგილებისა, 2020 წლისათვის დადგენილი საერთო კვოტიდან- 15 000 000(თხუთმეტი მილიონი)-დან 500 000(ხუთასი ათასი) ცალი.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საქართველოს მთელი ტერიტორია გარდა დაცული ტერიტორიებისა და 2008-2009, 2014 და 2018-2019 განხორციელებული კვლევების შედეგად დადგენილი აკრძალული ადგილებისა(აკრძალული ადგილები იხ. http://nea.gov.ge/ge/publicinfo/saxelmwifo-shesvidvebi-da-auqციონები/22/).
8	აუქციონის საწყისი ფასი	32 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%)	3 200 ლ.
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10%) თანხის ოდენობა + 100 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	3 300 ლ.
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დასრულების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია დაიწყება 2020 წლის 20 ივლისის 12:00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 17 აგვისტოს 18:00 საათზე.
12	აუქციონის დასრულების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი დაიწყება 2020 წლის 18 აგვისტოს 12:00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 18 აგვისტოს 18:00 საათზე.
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	4 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში.

დანართი №4



ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის მფლობელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი N4	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანო	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი 204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზ N150. TEL: 032 2439503
3	ელ-ფოსტა info@nea.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია
5	<p>ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია თეთრყვავილას ბოლქვების მოპოვება განხორციელოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გარდა დაცული ტერიტორიებისა და 2008-2009, 2014 და 2018-2019 განხორციელებული კვლევების შედეგად დადგენილი აკრძალული ადგილებისა.</p> <p>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის ფარგლებში ყოველწლიურად თეთრყვავილას ბოლქვების მოპოვების დაწყებამდე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში და სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულება- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარმოადგინოს იმ ტერიტორიების x y კოორდინატებისა და შესაბამისი ნაკვეთის წერტილოვანი და პოლიგონური ფენის Shp-ფაილები UTM კოორდინატთა სისტემაში. ასევე, ვალდებულია წარმოადგინოს შემსრულებელი პირის მიერ ხელმოწერილი ზემოაღნიშნული ნაკვეთის სიტუაციური გეგმა, საიდანაც მიმდინარე წელს უნდა მოიპოვოს თეთრყვავილას ბოლქვები, ინფორმაცია ამ ტერიტორიებიდან თეთრყვავილას მოსაპოვებელი ოდენობის შესახებ და რესურსის მოპოვების მიახლოებითი გრაფიკი კონკრეტული უბნების მიხედვით;</p> <p>გ) სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე თეთრყვავილას მოპოვების შემთხვევაში კონკრეტული ტერიტორიები უნდა შეუთანხმდეს შესაბამის მართვის ორგანოს. მოპოვების გრაფიკში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის საშუალებით უნდა მიეწოდოს სამინისტროს და სსდ</p>

		გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თეთრყვავილას მოპოვება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გარდა დაცული ტერიტორიებისა და 2008-2009, 2014 და 2018-2019 განხორციელებული კვლევების შედეგად დადგენილი აკრძალული ადგილებისა, 2020 წლისათვის დადგენილი საერთო კვოტიდან- 15 000 000(თხუთმეტი მილიონი)-დან 2 000 000 (ორი მილიონი) ცალი.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საქართველოს მთელი ტერიტორია გარდა დაცული ტერიტორიებისა და 2008-2009, 2014 და 2018-2019 განხორციელებული კვლევების შედეგად დადგენილი აკრძალული ადგილებისა(აკრძალული ადგილები იხ. http://nea.gov.ge/ge/publicinfo/saxelmwifo-shesvidvebi-da-auqციონები/22/).
8	აუქციონის საწყისი ფასი	128 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%)	12 800 ლ.
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10%) თანხის ოდენობა + 100 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	12 900 ლ.
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია დაიწყება 2020 წლის 20 ივლისის 12:00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 17 აგვისტოს 18:00 საათზე.
12	აუქციონის დასრულების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი დაიწყება 2020 წლის 18 აგვისტოს 12:00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 18 აგვისტოს 18:00 საათზე.
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	4 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში.

სანთელი

გამორჩეული მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე

გიჭიკო დიასამიძის სსოვნას

ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი გიჭიკო დიასამიძე.

ბ. დიასამიძე დაიბადა 1940 წლის 25 დეკემბერს შუახევის რაიონის სოფელ კვიციანოში. აქვე დაამთავრა რვაწლიანი სკოლა და ჩაირიცხა ხულოს პედაგოგიურ სასწავლებელში. 1960 წელს შედგა სასწავლებლის დასრულების შემდეგ წლების მანძილზე ემსახურა მოსწავლე ახალგაზრდობის განათლების საპატიო საქმეს – სხვადასხვა დროს მუშაობდა გოგინაურის, წყაროსუბნის (შუახევის რ-ნი) დაწყებით სკოლებში. 1964-1969 წ.წ. სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა მთლიანად დაუკავშირდა აღნიშნულ ინსტიტუტს, შემდგომ – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც 1992-1997 წლებში იყო ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. პარალელურად მუშაობდა უნივერსიტეტის პრორექტორის

თანამდებობაზე. 2001-2005 წლებში იყო საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორიას. სიცოცხლის ბოლო წლებში ემერიტუსის საპატიო წოდებით განაგრძობდა მოღვაწეობას მშობლიურ უნივერსიტეტში, ამავე დროს ხელმძღვანელობდა ქრისტიანული კულტურის კვლევის სამეცნიერო ცენტრს.

მისი სამეცნიერო ინტერესების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია, რომელსაც მკვლევარმა ნ. მონოგრაფია და 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატია მიუძღვნა. ერთ-ერთი მათგანისთვის – „ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში“ – ავტორს ტბელ აბუსერისძის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. აღნიშნულ პრობლემატიკასთან დაკავშირებულ ნაშრომებში გაანალიზებული და ახლებურად გააზრებულია ქრისტიანობის გავრცელებისა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების, სახელმწიფო და საეკლესიო ღვთისმსახურების ენის, უძველესი საეკლესიო ცენტრების წარმოშობისა და მათი ფუნქციის საკითხი ეგრისის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ეგრის-აფხაზეთის სამეფოსა და შემდგომ საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბებაში ეკლესიის როლისა და ადგილის პრობლემა და სხვა. აღნიშნული პრობლემების მეცნიერული შეს-



წავლის შედეგები საფუძვლად დაედო მის სადოქტორო დისერტაციას, რომელიც წარმატებით დაიცვა 1999 წ. და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ბ. დიასამიძე წარმატებით იკვლევდა შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალური და პოლიტიკური ისტორიის საკითხებს, ისტორიულ საგვარეულოთა გენეალოგიასა და ქრონოლოგიას, გამოჩენილი პიროვნებების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, კულტურის ძეგლებს, ქ. ბათუმის ისტორიის საკითხებს და ა. შ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი.

აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა პედაგოგიურ ასპარეზზე, სადაც ის ათეული წლების მანძილზე მისთვის ჩვეული შემართებითა და უშურველობით გადასცემდა აუდიტორიას მეცნიერული აზრის მიღწევებს. მისი ხელმძღვანელობით არაერთმა ახალგაზრდამ გაიკვალა გზა მეცნიერებაში.

პროფესორი ბ. დიასამიძე გამოირჩეოდა აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით. არ დარჩენილა რეგიონისა და ქვეყნისათვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ის თავისი ავტორიტეტული სიტყვითა და საქმით არ გამოხმაურებოდა. ამის თვალსაჩინო დასტურია მისი პუბლიცისტური წერილები, სადაც ყოველთვის საკმის ცოდნით, პასუხისმგებლობით ალტურვილი პატრიოტისა და მოქალაქის პოზიციიდან აშუქებდა თანამედროვეობის უმწვეველ საკითხებს. იგი სხვებთან ერთად იყო არაერთი მნიშვნელოვანი წამოწყების ინიციატორი, განხორციელების თაოსანიც და აქტიური მონაწილეც.

მისი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი ღვაწლი აღინიშნა ტბელ აბუსერისძის სახელობის სახელმწიფო პრემიით, ღირსების ორდენით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საპატიო სიგელით.

უაღრესად ფასეულია პროფესორ ბ. დიასამიძის მეცნიერული მემკვიდრეობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის, ასევე ძვირფასია მისი მსოფნა მეგობრების, კოლეგებისა და მრავალრიცხოვანი მოწაფეებისათვის.

განხილვა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლინგ“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ელვარ ჯეირანოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ელვარ ჯეირანოვი (პ/ნ 36001011238), საგარეჯო, სოფელი ლამბალო, მე-9 II ჩიხი №12
 - უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: საგარეჯო, ს. ლამბალო (საკადასტრო კოდი: 55.21.53.113 [https://naprweb.reestri.gov.ge/-/search](https://naprweb.reestri.gov.ge/-/searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/-/search)).
 - უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
 2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 105625.5 ლარი.
 3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2020 წლის 16 ივლისი, 14:00 საათი.
 4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2020 წლის 30 ივლისი, 14:00 საათი.
 5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
 - 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP66670020; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 666700
 6. მოვალე: ელვარ ჯეირანოვი (პ/ნ 36001011238), საგარეჯო, სოფელი ლამბალო, მე-9 II ჩიხი №12;
 - ელვარ ჯეირანოვი (პ/ნ 36001016467), საგარეჯო, სოფელი ლამბალო, 21-ე II ჩიხი №2; მანბად ჯალილოვი (პ/ნ 36001029462), საგარეჯო, სოფელი იორმულანლო.
 7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლინგ“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული II.
 8. აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეიღებოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლინგ“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003).
 - წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
 9. აუქციონის პირობები: გამოკვეთებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66670020; ლოტის ნომერი: 666700).
- ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 30 ივლისის 10:00 საათამდე.



სტიქია ქახეთში

ქახეთის გუბერნატორმა პირველად მონაცემებზე დაყრდნობით სტიქიის შედეგებთან დაკავშირებით ისაუბრა.

ირაკლი ქადაგიშვილის ინფორმაციით, სტიქიამ თელავისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში 20-ზე მეტი სოფელი დააზარალა.

აღინიშნა, რომ დასვეცილია 4 000 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მათ შორის ძირითადად ვენახის ფართობები.

დაზიანების ხარისხი თელავის მუნიციპალიტეტში 10 პროცენტიდან 100 პროცენტამდეა, ხოლო ყვარელში – 30 პროცენტიდან 80 პროცენტამდე. სტიქიის შედეგად 112 სახლია დაზიანებული.

როგორც ირაკლი ქადაგიშვილმა მედიასთან შეხვედრაზე განაცხადა, ადგილობრივი ხელისუფლება მთავრობას მიმართავს, მოსახლეობის კერძო სახლების გადახურვის სამუშაოებისთვის, მუნიციპალიტეტს დამატებითი თანხები გამოუყოს.

ქახეთის გუბერნიის ინფორმაციით, სეტყვის სანინააღმდეგო სამსახურმა ეფექტიანად იმუშავა, 150-ზე მეტი ჭურვის გასროლა განახორციელა, თუმცა ცალკეულ ადგილებზე სტიქიის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა.

როსტაურის მუნიციპალიტეტში კოლეჯი შენდება

როსტაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულში კოლეჯის მშენებლობა მიმდინარეობს.

სამშენებლო სამუშაოებს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი და გურიაში სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნენ.

„თანამედროვე სტანდარტების საგანმანათლებლო დაწესებულება ძირითადად აგრარული მიმართულების იქნება: მეტყვეობის, მევენახეობა-მეღვინეობის და მეფუტკრეობის შემსწავლელი პროგრამები ამოქმედდება. ასევე, დაგეგმილია რეგიონის განვითარებისთვის სხვა საჭირო მიმართულებების დამატება და პროფესიული სასწავლებლის გაფართოება“, – ნათქვამია სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



SIC! მოგვხედავთ!

საბურამოს უწმინდესი და ულამაზესი მინა-წყალი გადაივსო ნაგვით და გამხმარი ხე-მცენარეებით!

მცხეთის გამგეობა და საკრებულო კი მხარ-თე-ძოზე წამოწოლილა და თვლემს!

დროზე მოგვეშველეთ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორო, ბატონო შალვა კერესელიძე!

სირცხვილია ამ ისტორიული სოფლის მიმართ ასეთი „ნაგვიანი“ დამოკიდებულება!

საბურამოელაზი



განახლება ბიბლიოთეკების წიგნთა ფონდი

„საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით, მიმდინარე თვეში რეგიონალური ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების განახლების პროექტი მეშვიდედ ტარდება.

ასოციაციის ინფორმაციით, კორონავირუსის პანდემიის გამო, წელს ვაუჩერი-ზაციის პროექტი ონლაინ რეჟიმში ჩატარდება.



პროექტის ფარგლებში საქართველოს 64 ბიბლიოთეკას გადაეცა 450-ლარიანი ვაუჩერები. ბიბლიოთეკები თავად აარჩევენ წიგნებს და შეიძენენ მათთვის სასურველ ლიტერატურას, რომელსაც სხვადასხვა გამომცემლობა სპეციალურ ფასად სთავაზობს. 2020 წლის ივლისის ბოლომდე ყველა ბიბლიოთეკა მის მიერ შერჩეულ წიგნებს ადგილზე, რეგიონებში მიიღებს.

ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის განახლების პროექტი ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს მწერალთა სახლის მხარდაჭერით.

მოგვართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიში: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

სულიერება

წმინდა ანდრია კრაველი „დიდი კანონის“ შემქმნელი

17 ივლისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს „დიდი კანონის“ შემქმნელს, კრეტელ მთავარეპისკოპოსს ანდრიას.

ანდრია სირიელი იყო წარმოშობით. ის შვიდ წლამდე ვერ ლაპარაკობდა... და მხოლოდ წმინდა საიდუმლოთა მიღების (ზიარების) შემდგომ ამოიღა ენა.

საგულისხმოა ისიც, რომ 14 წლის ასაკში ანდრია იერუსალიმში, წმინდა საბა განწმენდილის საკანონო სამოღვაწეოდ გაემგზავრა.

აქ თავისი სიმშვიდით, გონებით და მკაცრი ცხოვრებით გახდა ცნობილი.

წმინდა საბა განწმენდილის სავანიდან იგი იერუსალიმის საპატრიარქოში წერილების განყოფილების უფროსად გადაიყვანეს.

679 წელს ანდრია კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო კრებას იერუსალიმის პატრიარქის მოსაყდრის (ტახტის მცველის) ხარისხში დაესწრო. კრების შემდეგ იგი წმინდა სოფიას ტაძარში დიაკონად აკურთხეს და გარკვეული ხანი ობლების და მოხუცების მზრუნველობას ხელმძღვანელობდა...

წმინდა ანდრია ცნობილია, როგორც მქადაგებელი და საეკლესიო პოეტი. მან მრავალი შთაგონებული ლოცვა და გალობა შეადგინა და სინანულის დიდი კანონი დაწერა (კრეტელის კანონი).

გიული ლიპარტია




„მუვილი სხოვრება“ ისტორიის მუზეუმი

თბილისის ისტორიის მუზეუმში პროექტის „თანამედროვე ხელოვნების გალერეა“ ფარგლებში, გაიმართება კოტე სულაბერიძის ნამუშევრების გამოფენა „მუვილი ცხოვრება“.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, ექსპოზიცია წარმოადგენს ფერწერულ ტილოებს და ინსტალაციას, რომელიც მხატვრის სახელოსნოში, ორი ადამიანის (ცოლ-ქმრის) საუბარს აღწერს, რაც მოცემულია ტექსტის სახით ვიზუალიზებული მაგიდების ფონზე. დამთვალიერებელს, რომელიც თითქოს ზემოდან დაჰყურებს მაგიდებს, თანამონაწილეობის და ამასთანავე თავისუფალ სივრცეში დისტანცირების საშუალება ეძლევა.

კოტე სულაბერიძე 90-იანელთა თაობის წარმომადგენელია. ის სხვადასხვა მედიაში მუშაობს, მათ შორისაა ინსტალაცია, ვიდეოარტი. თუმცა მისთვის ფერწერა „ყველაზე ახლობელ და საყვარელ მედიად რჩება“. ამას მოწმობს გამოფენის ეპიგრაფად გამოყენებული, ავტორის მიერ ბავშვობაში ზეთით შესრულებული პირველი ნამუშევარი. ჯერ კიდევ კოტე სულაბერიძის სადიპლომო ნამუშევარში ვლინდებოდა ვიზუალური და ვერბალური ინფორმაციის სინთეზის მცდელობა, მისი ხელოვნება მრავალშრიანი მნიშვნელობით გამოირჩეოდა.

გამოფენა 17 ივლისს 18:00-ზე გაიხსნება და 5 სექტემბრამდე გასტანს.



საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48 ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16;

ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24

გამომცემელი:

შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანამედროვე“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „ქოლორ პრესში“ რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

ISSN 2233-3851



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შუამთავრობით მასალაში დანიშნულია ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაქმნა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უენი გაზეთია, აუსილეზლად გამოიწერა, რასაც გამოიწერა, აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!



უსტორიული ვაჭარის ქარხანი: აუუ ფონური - 3.0651; აპარტი - 3.5049; ბრეტანული ბირჟის სტარტინგი - 3.8715; 100 რუბლი - 4.3127; თურქული ლირა - 0.4465; ანკარაბირჟის მანათი - 1.8030; 1000 სომხური დრამი - 6.2954.

აქტიური 17 ივლისისთვის: ადონისკოპიტი საქართველო: ბარა - ლაპი +17, ღლე +35; მთიანი რედაქცია - ლაპი +13, ღლე +31; დანაკვეთი საქართველო: ბარა - ლაპი +18, ღლე +29; მთიანი რედაქცია - ლაპი +17, ღლე +29; თბილისი: ლაპი +23, ღლე +35

დაგვიკავით, მოგვწერათ: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ-გვერდი: www.sakresp.ge